ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 22 სექტემბერი, №8 (6569)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი



## 21 სექტემბერს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა აღინიშნა

შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარულის აუწყა ყოველსა სოფელსაყოვლადწმიდა დედა ღვთისა იშვა უნაყოფო და მოხუცებული მშობლებისაგან – ქალაქ ნაზარეთში, რომელიც მთის ფერდობზე იყო შეფენილი და იერუსალიმს სამი დღის სავალი აშორებდა. „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსამე ყოფად?“ – ამბობდნენ ებრაელები, როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი წინასწარმეტყველი იესო აქედან გამოვიდა.

წინასწარმეტყველთა უწყების მიხედვით, ქვეყნიერების აღთქმული მხსნელი დავითის სამეფო ტომიდან უნდა წარმომდგარიყო, მაგრამ ბაბილონის ტყვეობის შემდგომ დავით მეფის შთამომავლები ნელ-ნელა უფლებებს კარგავდნენ და როდესაც მაკაბელთა გვარი გაძლიერდა, სამეფო შტოს ყოველგვარი გამორჩეულობა გაქრა და ის სხვა ხალხს გაუთანაბრა.

როდესაც წინასწარმეტყველთა მიერ მოსწავებული დრო დადგა და სკიპტრა უცხოტომელ ჰეროდეს გადაეცა, როცა რომაელთა ყოვლისდამარღვეველი ხელმწიფება დაიწყო, როცა ზნეობრიობა და რელიგია სრულიად დათრგუნული აღმოჩნდა – მაშინ იუდეველებმა გააცნობიერეს, რომ დანიელის მიერ დათქმული ჟამი იწურებოდა და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი მესიას, რომელიც მათ უცხოტომელთა უღლისაგან იხსნიდა და სხვა ხალხებზე ბატონობას მიანიჭებდა.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას სახელმწიფო დახმარებას აღმოუჩენს



17 სექტემბერს ძლიერმა სტიქიამ კახეთის რეგიონი კიდევ ერთხელ დააზიანა. ძლიერი სეტყვის და ქარის შედეგად დაზარალდა თელავის, ყვარელისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები. კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი ალადაშვილის განცხადებით, სტიქიამ დააზიანა როგორც სავარგულები, ასევე საცხოვრებელი სახლები. ზარალის დათვლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოსახლეობას სახელმწიფო დაეხმარება.

„პრემიერ – მინისტრის დავალებით, ადგილზე მობილიზებულია ყველა შესაბამისი უწყება. მთელი ღამის განმავლობაში ადგილზე მუშაობდნენ აღნიშნული უწყებების წარმომადგენლები. მიმდი-

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## სეტყვამ და ქარიშხალმა ყვარლის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ვენახები გაანადგურა და საცხოვრებელი სახლების სახურავები დააზიანა



17 სექტემბერს მოსულმა ძლიერმა სეტყვამ, წვიმამ და ქარმა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში დააზიანა საცხოვრებელი სახლების სახურავები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ვენახები და ავტომანქანები.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## 26 სექტემბერი წმიდა დიდმოწამე, საქართველოს მნათობი კახეთის დედოფალი ქეთევანის ხსენების დღეა

### ქეთევანი

დუმილი ჩამოწვა მძიმე,
კოცონი ღუოდა წითლად,
დათმეო, რამეთუ მცირე
არისო ქართული მიწა.
და როცა ცეცხლის წინ შევდექ,
მანდილზე მიტაცეს ხელი,
ცხელ შანთებს მადებენ მკერდზე,
დაფარონ სიშიშვლე ჩემი!
კოცონში მაგდებენ უძლურს,
როგორც ღვთის საწირავ ზვარაკს,
მე მტკივა მოჭრილი ძუძუ,

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე



## ანსამბლ „ყვარელის“ გასტროლი ზუგდიდში

14-16 ივლისს, ზუგდიდში მუნიციპალიტეტის მერიის და „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით, ქართველი ლოტბარის, მომღერალის, ღირსების ორდენისა და წმინდა გიორგის ორდენის კავალერის, ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის (2005-2006) და ფონდი „ქართული გალობის“ ლაურეატის, კულტურის სამინისტროს ჯილდოს „ხელოვნების ქურუმის“ მფლობელის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ გაიმართა.

ფესტივალი რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის – მანუჩარ სამუშია-ს ინიციატივით დაარსდა წელს მესამედ ჩატარდა.

ფესტივალში მონაწილეობას საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ქართული ფოლკლორული ანსამბლები იღებდნენ.

ღონისძიებას ზუგდიდის მერი მამუკა წოწერია, მერის პირველ მოადგილესთან კონსტანტინე კაკავასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

მოყურებლის წინაშე წარსდგნენ ფოლკლორული ანსამბლები: „ოდოია“, „ჩელა“, „კოლხური ტრიო“, „ფაზისი“, „ბედინერა“, ჩხორონწყუ“, „ჰარირა“, „კოლხეთი“, „მუსიკელი“, „ეგრისი“ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს უცხოეთში მოღვაწე ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა „კავკასია“, (საბერძნეთი) და „თამარიონი“ (საფრანგეთი).

ფესტივალ „კოლხი და...“-ს მონაწილე გახლდათ, ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ყვარელი“. ანსამბლის ლოტბარს ირაკლი მათიკაშვილს გასტროლის შესახებ რამოდენიმე კითხვა დავუსვით.

***– ბატონო ირაკლი, როგორ მოხდა თქვენი ანსამბლი ამ ფესტივალზე და რა შემადგენლობით წარსდგა ჯგუფი მაყურებლის წინაშე?***

– ანსამბლი, რომელიც საბავშვო სტუდიის „ხეუროს“ აღზრდილებით და-



გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## 2023 წლის რთველი ჩატარდება ორგანიზებულად და ყველა მევენახე შეძლებს მოსავლის შეუფერხებლად დაბინავებას



*სამეურნეო 2023 წელი ფინიშს მიუახლოვდა და მთელი წლის საქმიანობის შეჯამების დროც მოახლოვდა. საზოგადოებაში არსებული გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსს თამაზ ხატიაშვილს ვთხოვეთ ესაუბრა ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების და „რთველი 2023“ – ის მიმდინარეობის შესახებ.*

***– ბატონო თამაზ, საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს***

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე




# პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას სახელმწიფო დახმარებას აღმოუჩენს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ნარეობს ზარალის დათვლა. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოსახლეობას ზიანი აუნაზღაურდება. ჩვენ კომუნიკაციაში ვართ მოქალაქეებთან და არცერთი მოსახლე არ დარჩება ყურადღების გარეშე". – განაცხადა გიორგი ალადაშვილმა.

სტიქიამ განსაკუთრებული ზიანი ყვარელს მიაყენა. კერძოდ, ქალაქ ყვარელში, გრემში, ენისელში, საბუესა და ჭიკაანში დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავების ნაწილი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ნაწილი, ავტომანქანები. ასევე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაისეტყვა ყველა სოფელში. საავტომობილო გზებზე ძლიერმა ქარმა მოგლიჯა ხეები. მთელი ღამის განმავლობაში სტიქიის ეპიცენტრში მუშაობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართის სამსახურის მეხანძრე-მაშველები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. ჩატარდა გზების გაწმენდის სამუშაოები.

17 სექტემბერს, სეტყვამ და ძლიერმა ქარმა, კახეთის კიდევ ერთი მუნიციპალიტეტის – ლაგოდეხის სოფლები დააზარალა.

სტიქიამ, მოსახლეობას საცხოვრებელ სახლებთან ერთად, სასოფლო – სამეურნეო სავარგულები და ვენახები დაუზიანა. დაზიანებულია, ასევე, გარე განათების ბოძები და ელექტროსადენები. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტექნიკის საშუალებით პირველადი სამუშაოები უკვე განხორციელდა.

სტიქიამ ასევე მნიშვნელოვნად დააზარალა თელავის მუნიციპალიტეტის სოფლები – ფშაველი, ნაფარეული და ლალისყური.

# სეტყვამ და ქარიშხალმა ყვარლის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ვენახები გაანადგურა და საცხოვრებელი სახლების სახურავები დააზიანა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგული და ვენახი დაისეტყვა.

ქ. ყვარელში, სოფ. გრემში, ენისელში, საბუესა და ჭიკაანში დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავები.

ამ ეტაპისათვის, ყველა აღნიშნულ ლოკაციაზე, სტიქიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის 5 ჯგუფი მუშაობს. მიმდინარეობს დაზიანებული სახლების აღწერა და ზარალის ოდენობის დადგენა. მოქალაქეებს დაზიანებული სახლების სახურავებზე დროებით გადასაფარებლად გასაშლელი ტენტები გადაეცათ.



# 21 სექტემბერს" ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა აღინიშნა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ნაზარეთში ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა – იოაკიმე და ანნა. იოაკიმე იუდას სამეფო ტომის შთამომავალი იყო, ხოლო ანნა აარონის ტომის ღვთისმსახურის მატთანის უმცროსი ასული. მატთანს სამი ქალიშვილი ჰყავდა: მარიამი, სოფიო და ანნა; სოფიოს ასული ელისაბედი არის დედა იოანე წინასწარმეტყველისა. იოაკიმე და ანნა ღვთის წინაშე მართლები იყვნენ და მის მცნებებსაც სუფთა გულით იცავდნენ. ისინი იმდენად ჩამომავლობით კი არა, მორჩილებითა და გულმოწყალებით იყვნენ ცნობილნი.

ამგვარად მიაღწიეს ღრმა სიბერემდე. მთელი მათი ცხოვრება ღვთის სიყვარულით და მოყვასისადმი თანაგრძნობით იყო განსჭვალული. საკმაოდ



მნიშვნელოვანი შემოსავლის ორ მესამედს ყოველდღიურად გასცემდნენ, ერთ მესამედს ღვთის ტაძარს სწირავდნენ, მეორეს ლატაკებსა და მოხუცებს უყოფდნენ; დანარჩენს პირადი საჭიროებისთვის იყენებდნენ. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ უნაყოფობა მათ გულს მწუხარებით ავსებდა: იმდროინდელი წარმოდგენით უშვილობა შეურაცხმყოფელად და უდიდეს სასჯელად ითვლებოდა, მით უფრო სამწუხარო იყო, რომ დავითის შთამომავლებს ჰქონდათ იმედი, რომ მათგან აღთქმული მესიის შობით – კაცობრიობის ხსნის იარაღად უნდა ქცეულიყვნენ.

მათი ცოლ-ქმრული ცხოვრებიდან 50 წელი გავიდა და ისინი უშვილობის გამო იყვედრებოდნენ. კანონის მიხედვით, რომელსაც ფარისევლები უჭერდნენ მხარს, იოაკიმეს შეეძლო, უნაყოფო ცოლთან გაყრა მოეთხოვა, მაგრამ მართალ ადამიანს უყვარდა ანნა და პატივს სცემდა მას არაჩვეულებრივი მოკრძალებულობისა და ღვთისმოსაობის გამო, ამიტომ მასთან განშორება არ სურდა. გულში ჩაკლული მწუხარებით, მაგრამ უდრტვინველად ისინი ერთად ტვირთულობდნენ განსაცდელის სიმძიმეს და მარხვით, ლოცვითა და ქველისმოქმედებით აგრძელებდნენ ცხოვრებას, ერთმანეთს სიყვარულით განამტკიცებდნენ და არ კარგავდნენ იმედს, რომ უფალს ყოველთვის შეუძლია მონის შეწყალება.

დიდ დღესასწაულებზე მათ ჩვეულებად ჰქონდათ, რომ იერუსალიმში ასულიყვნენ. იოაკიმეც მივიდა ტაძრის განახლების დღესასწაულზე, რათა თანამემამულეებთან ერთად მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ მღვდელმთავარმა ისსახარმა იოაკიმეს ძღვენი არ მიიღო, მას უშვილობა აყვედრა და უთხრა: „უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევა". სხვა თანატოლებმაც, რომლებიც იქ ესწრებოდნენ, დაუმატეს: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ არ შეგიქმნია ისრაელის თესლი". იოაკიმესთვის მეტად მძიმე იყო ამგვარი ყვედრების ასე სახალხოდ მოთმენა და სახლში აღარ დაბრუნებულა, უდაბნოში წავიდა. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მართალი მოხუცი ტიროდა, მარხულობდა და ლოცულობდა. მწუხარებას ცრემლით იქარვებდა, შესთხოვდა ღმერთს, რომ სირცხვილი და ყვედრება აეცილებინა და სიბერეში მისთვის შვილი ებოძებინა.

ამავე დროს, როდესაც ქმრის შეურაცხყოფის ამბავი გაიგო, ანნა უნუგეშოდ ატირდა და შინაურთაგან თავისი მწუხარება რომ დაეფარა, ბაღში გავიდა. დაფნის ხის ძირას მჯდარი ის არ წყვეტდა ტირილს და ლოცულობდა შეურყვნელი რწმენით, რომ ღმერთი ძლიერია და კაცთაგან შეუძლებელს – შესაძლებელად აქცევს! ამ დროს ცისკენ აღაპყრო თვალები და დაფნის ტოტებში დაინახა ბუდე, რომელშიც უსუსური ბარტყები ისხდნენ – ამის გამო კიდევ უფრო მეტად აევსო თვალები ცრემლით, კიდევ უფრო მეტი ვედრებით გადმოიღვარა ლოცვა მისი გულიდან: „უბედური მხოლოდ მე ვარ – მოთქვამდა იგი – ამ ქვეყნად ყველა შვილებით ნუგეშობს. ცაში ჩიტებსა და მიწაზე მხეცებს ნაყოფიერება მიეც, უფალო, მიწაც დროულად აღმოაცენებს თესლსა და ყველაფერი ეს შენი კურთხევით ხდება! მხოლოდ მე ვარ ველი უნაყოფო, უსიცოცხლო და აღმოუცენებელი, მომხედე, უფალო და ისმინე ჩემი ლოცვა!"

უცებ მის წინაშე ღვთის ანგელოსი წარსდგა და უთხრა: „ანნა, უფალმა ისმინა შენი ლოცვები, შენ გეყოლება შვილი და შენი თესლისაგან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე, შენი ასულის სახელი იქნება მარიამი და კაცობრიობა ხსნას მის მიერ მიიღებს".

ანგელოსმა დაავალა ანნას, რომ წასულიყო იერუსალიმში და უწინასწარმეტყველა, რომ ქმარს ოქროს ჭიშკართან შეხვდებოდა. ღვთივსულიერი სიხარულით აღვსილმა ანნამ წამოიძახა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი, თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შევწირავ, დაე, დღედაღამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადიდოს". ამ აღთქმის შემდეგ მან იერუსალიმისაკენ ისწრაფა, რათა უფლისათვის დიდება და მადლობა შეეწირა.

ანგელოსი მართალ იოაკიმესაც გამოეცხადა, რომელიც სალოცავად იდგა უდაბნოში და უთხრა: „უფალმა შეიწყნარა შენი ლოცვა, შენი ცოლი შობს ასულს, რომელიც ყველას სიხარულს მოუტანს, წადი იერუსალიმში და იქ ოქროს ჭიშკართან იპოვი ცოლს შენსას, რომელსაც მე ეს უკვე ვაცნობე".

ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ღვთის ტაძარს ერთად შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი და სახლშიც ერთად დაბრუნდნენ იმის ღრმა რწმენით, რომ მიიღებდნენ ღვთისაგან აღთქმულს. მართლმადიდებელი ეკლესია უხსოვარი დროიდან დეკემბრის მეცხრე დღეს დღესასწაულობს მოხუცებული, შვილიერებას მოკლებული მშობლებისაგან ღვთისმშობლის მუცლადღებას; რადგანაც ბავშვის დაბადება ღვთის განსაკუთრებულ წყალობად ითვლებოდა, რადგანაც საჭირო იყო, რომ სხვადასხვა სასწაულებს მოემზადებინა ყველაზე მთავარი სასწაული, უწყება იმის შესახებ, რომ ქალწული შობდა ქვეყნიერების მხსნელს, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, უფლის აღთქმის მიხედვით – ჩაისახა და დაიბადა ცოლ-ქმრისაგან, მხოლოდ უფალი იესო ქრისტე იშვა უბიწო მარიამისაგან უქორწინებელად – სულიწმიდის მიდგომით.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი ნაკლებად ცნობილ ადგილას, ნაზარეთში დაიბადა, ის გამოვიდა ოდესღაც სახელგანთქმული დავითის ტომიდან, რომელიც იმჟამად უკვე დამცირებული და ყოველგვარ ბრწყინვალებას მოკლებული იყო, ამქვეყნიური დიდება და პატივი არ შემორტყმია მის აკვანს. ყოველგვარი მიწიერი უპირატესობა გაფერმკრთალდა უხილავი დიდების შუქზე, რომელიც მრავალი საუკუნით ადრე ამზადებდა უფლის დიდებით შობას. სახარების მიხედვით მას კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდანვე, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა. ღვთიურმა სიბრძნემ დაფარა ეს საიდუმლო და ადამიანური გონებისათვის მისი რწმენითა და მადლით მიღება განსაზღვრა.იუდეველთა ჩვეულების მიხედვით, ახალშობილისათვის მეთხუთმეტე დღეს სახელი უნდა დაერქმიათ, ანგელოსის მითითებით, ყრმას მარიამი უწოდეს, რაც ებრაულად ქალბატონს ან იმედს ნიშნავს. მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით



ყოველივე შექმნილის ქალბატონად და იმედად იქცა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ხსენება უძველესი დროიდან, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაული, ჯერ კიდევ IV საუკუნეში დადგინდა. მოციქულთასწორმა ელენემ ღვთისმშობლის შობის სახელზე აღმართა ტაძარი; ეს დიდი, საყოველთაო, ათორმეტთაგანი დღესასწაული 8 სექტემბერს აღესრულება. ეს არის განუყოფელი სიხარულის დღესასწაული, რადგან ღვთისმშობლისაგან ადამიანთა მთელი მოდგმა განახლდა და პირველი დედის ევას მწუხარება სიხარულად გარდაიქცა.

შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.

# 26 სექტემბერი წმიდა დიდმოწამე, საქართველოს მნათობი კახეთის დედოფალი ქეთევანის ხსენების დღეა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

უფრო კი სირცხვილი მზარავს.
მე ვითმენ წამებას დიდხანს
და ყელში მობჯენილ კივილს,
რამეთუ ნაშენი ვიყავ
ქართული მიწით და კირით.
ქოქოლას მაყრიან მძევალს,
ვიწვი და მაინც არ ვგმინავ,
ასევე სჭდავდნენ ძველად
ცეცხლში ხალიბები რკინას.
მე ჩემს სიზვიადეს ვენდე,
ტანთ აბჯრად სიმშვიდე მეცვა…
ეგრე,
დედოფალო,
ეგრე,
ცოტაც და,
იწყება ზეცა...

/მედეა კახიძე/

წმიდა ქეთევანი აშოთან მუხრანბატონის ასული დაიბადა დაახ. 1570 წელს. კეთილგონიერი და მორწმუნე ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე დააქორწინეს. მეფე ალექსანდრეს კიდევ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა – გიორგი და კონსტანტინე. კონსტანტინე შაჰ-აბასის კარზე იზრდებოდა ბავშვობიდანვე და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა.

ალექსანდრე მეფე მონაზვნად ალიკვეცა ალავერდის ტაძარში. ტახტზე დავითი ავიდა, მაგრამ ოთხიოდ თვეში, 1602 წელს, კახეთის ახალგაზრდა მბრძანებელი მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი – თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე კვლავ სამეფოს დაუბრუნდა. ქვეყნის არეულობისა და სხვადასხვა საშიშროების გამო ქეთევანმა თეიმურაზი შაჰ-აბასთან გაგზავნა.

შაჰ-აბასმა, როგორც კი დავითის სიკვდილი და ალექსანდრეს დაბრუნება შეიტყო, თავის კარზე აღზრდილ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წასულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, მოეკლა ღვიძლი ძმა გიორგი და თვითონ ასულიყო კახეთის სამეფო ტახტზე.

გამხეცებულმა კონსტანტინე-მირზამ შეასრულა ბრძანება, შემდეგ მამისა და ძმის მოკვეთილი თავები, ვითარცა ძვირფასი ძღვენი, „მამობილს“ გაუგზავნა, მათი გვამები კი აქლემს აჰკიდა და ალავერდს გააგზავნა დასამარხად. ქეთევანმა პატივით დაკრძალა მამამთილისა და მაზლის ცხედრები.

სისხლში გასვრილმა კონსტანტინემ ქეთევანს ცოლობა სთხოვა: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისაო“.

ქეთევანმა კახეთის დიდებულები იხმო, ყოველივე აუწყა და უთხრა, თუ სარწმუნოებისა და ქვეყნის ღირსებას ვერ დავიცავთ, ქართლს დავბრუნდებიო, მუხრანში. დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს დედოფალს, შეიკრიბნენ, მიუვარდნენ სჯულისა და ტრადიციების შემგინებელს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა ურწმუნო კონსტანტინეს გვამი გვარისათვის შესაფერილი პატივით დაკრძალა, შაჰს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი, დროებით, თვითონ იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა: კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დავკარგავო და 1606 წელს მეფედ დაამტკიცა თეიმურაზი და დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში.

გაიხარა წმიდა დედოფალმა შვილის ხილვით, გაიხარა მთელმა სამეფომ ქრისტიანი უფლისწულის დაბრუნებით. მეფე იკურთხა და ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალგაზრდა მეფემ გურიელის ასული ანა შეირთო. მეფე-დედოფალს ორი ვაჟი და ერთი ასული – ლევანი, ალექსადნრე და თინათინი შეეძინათ. მალე ანა დედოფალი გარდაიცვალა. შაჰის იძულებით თეიმურაზმა ლუარსაბ II-ის და, ხორეშანი შეირთო, შაჰმა კი ხორეშანის და – ელენე მოიყვანა ცოლად. ასე ცბიერებით „დაუმოყვრდა“ იგი ქართლ-კახეთის სამეფოს, ნამდვილად დამოყვრებულ ქართლსა და კახეთს შორის კი მუდმივად თესავდა განხეთქილების ღვარძლს.

შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. იცოდა თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ დიდებულების იძულებით უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან დედაც – წმიდა ქეთევანიც გააყოლა: „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისაგან“. შაჰმა ჯერ უფროსი შვილი, ლევანი ითხოვა, შემდეგ კი თეიმურაზსაც შეუთვალა: რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო“.

ყველასათვის ნათელი გახდა შაჰის სურვილი: მას სურდა კახეთის სამეფო კარისთვის ერთად მოეყარა თავი და ერთიანად შეემუსრა. დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზი და ლუარსაბი შეითქვნენ და გაერთიანებული ძალებით სძლიეს ჟალეთში დაბანაკებულ მტერს.

შემდგომ დაიწყო ქართლის ცხოვრების უსაშინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასმა მძევლები – წმიდა ქეთევანი და მისი შვილიშვილები – შირაზს გაგზავნა, თვითონ კი კახეთს შეესია. მტერმა ააოხრა სამეფო კარი, შერყვნა ეკლესია-მონასტრები, გადაასახლა და დააცარიელა სოფლები. ქვეყანა შიმშილმა და ძალადობამ მოიცვა. უსჯულოებმა ცეცხლს მისცეს კახეთი. სამასი ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლეს, გაუდაბურებულ ქვეყანაში კი ულუსები ჩამოასახლეს.

შირაზს გადასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ქეთევანს ჩამოაშორა თეიმურაზის ძენი, ისპაჰანს წაიყვანა და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი შეიშალა. სამშობლოს ხვედრით შეძრწუნებული წმიდა დედოფალი, რომელმაც შვილიშვილების უბედურება არ იცოდა, შირაზის მმართველს, გათათრებულ ქართველს, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა. ნაქართველარი თათარი დიდი პატივით ეპყრობოდა ქეთევანს და ამბობდა, დიდად საპატიო სტუმარი არისო ჩვენი, ის კი არ არის ტყვე, ჩვენ თვითონა ვართ მისი ტყვეები. მისი ბრძანებით წმიდა დედოფალს არ უმხელდნენ, თუ რა საშინელი ბედი ეწიათ ბატონიშვილებს – ლევანსა და ალექსანდრეს.

ათი წელი იტანჯებოდა დედოფალი „საპატიო“ ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია დედოფლის სხეული. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს – მის გამგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს.

ხედავდა გულმრისხანე შაჰი, რომ „უდრეკ იყო დედოფალი“, ისევ წმიდა სამებას სასოებდა კახეთის მანათობელი ვარსკვლავი, ჯვარცმულ მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარცმულ ქვეყანას და ემზადებოდა დიდი მისიისათვის.

უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა წმიდანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოკალიო“. შეძრწუნდა უნდილაძე, მოციქულის პირით შეუთვალა: „ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილი არისო მისი სიკვდილი“. შაჰ-აბასი გაბრაზდა, ბრძანების სასწრაფოს აღსრულება უბრძანა შირაზის ხანს. ნაქართველარი შეევედრა დედოფალს, სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. წმიდა ქეთევანმა შორს დაიჭირა უნდილაძის ნათქვამი და წამებისთვის განემზადა: „მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღვთისაო, არა შუენოდა მხევლისა შენისად უარის ყოფაჲ შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა“.

ხალხით გაჭედილ მოედანზე გაიყვანეს ქართველთა სათაყვანებელი დედოფალი, რომელსაც მგლოვიარე ქართველები მიაცილებდნენ. ჯალათებმა მოამზადეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმიდა მოწამემ: „დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთ სიშიშვლით“.

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა წმიდა დედოფალი: გახურებული რვალის ქვაბი დაამხვეს თავზე, მარწუხებით დააგლიჯეს ძუძუები, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დააგლიჯეს ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს.

წმიდა სულმა დატოვა ნაგვემი სხეული. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმიდა დედოფლის გვამი, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული – წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა ფრანგებმა წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს, თეიმურაზს გამოუგზავნეს თავისი წმიდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად, რომლებიც ალავერდის მონასტერში ინახებოდა და 1723 წელს დაიკარგა.

# ანსამბლ „ყვარელის“ გასტროლი ზუგდიდში

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ვაკომპლექტე სულ რაღაც 1 წელია ამ შემადგენლობით არსებობს. ჩემი მიზანი იყო სტუდიის აღზრდილებისთვის გონივრული გზა მიმეცა, რათა მათი შესაძლებლობები ახალ ფაზაზე გადამეყვანა, ნიჭი და ცოდნა არ დაკარგულიყო. ადგილობრივი ხელისუფლების, კერძოდ მუნიციპალიტეტის მერის – გივი ზაუტაშვილის და საკრებულოს თავმჯდომარის – ილია მზექალაშვილის დახმარებით ანსამბლის წევრებს სტიპენდიები დავუნიშნე, რაც ერთგვარი მოტივაცია გახდა მათთვის ანსამბლში მუშაობის. ამჟამად „ყვარელი“ – ს შემადგენლობაში ირიცხება 15-16 წლის 10 მოსწავლე.

ინტენსიური მუშაობის შედეგად, შევძელით გარკვეული სასიმღერო რეპერტუარის შექმნა, რომლითაც წარვსდექით როგორც ადგილობრივი მაყურებლის წინაშე, ასევე ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სადაც იმყოფებოდა ზუგდიდის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის საერთაშორისო ფესტივალის დამაარსებელი მანუჩარ სამუშია, რომლის მოწვევითაც ამ წელს ფესტივალზე მოვხვდით.

***– როგორია თქვენი შთაბეჭდილება და რას გვეტყვით ღონისძიების ორგანიზატორებზე?***

– საოცრად შთამბეჭდავი, დაუვიწყარი ტურნე მოგვიწყეს. სამეგრელოში გულღია და ხელგაშლილი მასპინძლობა უყვართ. დიდი ყურადღებით ეკიდებიან კულტურასა და ხელოვნებას. მაღალორგანიზებული იყო როგორც ფესტივალი, ასევე სხვადასხვა აქტივობები რომელშიც, ცალკე ანსამბლის წევრები და მეორე მხარეს ლოტბარები თუ ჩამოსული სტუმრები მონაწილეობდნენ. ღონისძიების ორგანიზატორებმა მუნიციპალიტეტის მერმა მამუკა წოწერიამ და მერის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე კავკავამ გრანდიოზული 3 დღიანი საფესტივალო პროგრამის მასპინძლობა შეძლეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. გარდა ექსკურსიებისა, სტუმრებს საშუალება გვქონდა გავცნობოდით ადგილობრივი, თანამედროვე, ტრადიციული რეწვის ოსტატთა ნამუშევრებს.

ზუგდიდში გამართულ გალა-კონცერტს უძღვებოდა უცვლელი წამყვანი, ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ა. (ა)იპ „ლომისის“ დირექტორი – გია ბაღაშვილი. ჩვენმა გამოსვლამ როგორც ფოკლორის სპეციალიტების, ასევე მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. სიგელებით და პრიზებით ხელდამშვენებულები დავბრუნდით.

***– რას გვეტყვით რეპერტუარზე.***

– ფესტივალის პროგრამით, თითოეული ანსამბლი 2-2 სიმღერას ასრულებდა. აქედან ერთ-ერთი სავალდებულო პირობა მეგრული სიმღერის შესრულება იყო. ჩვენ – „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“ შევარჩიეთ, ხოლო მეორე – კახური „თამარ ქალო“ შევასრულეთ. მაყურებელმა მხურვალე აპლოდისმენტებით დაგვაჯილდოვა, მგონი დამსახურებულად.

***– ბავშვები ზრდასრული მომღერლების რეპერტუარს ასრულებენ, რაც ერთგვარი გამოწვევაა და რატომ შეეჭიდეთ ასეთ სირთულეს?***

– ყვარელში იმ იდეით დავბრუნდი, რომ შემექმნა ფოლკლორული ანსამბლი, ამეღორძინებინა მივიწყებული ხალხური მარგალიტები და ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ფოლკლორის განვითარებასა და პოპულარიზაციაში რაც დღეს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მინისტრის – თეა წულუკიანის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მაშინ ასე აქტუალური არ იყო და არც ხელშემწყობები მყავდა.

რადგან ზრდასრული მომღერლები ვერ შევკრიბე, გადავწყვიტე ბავშვებში ჩამედო შრომა და ჩამეყარა საფუძველი ქართული ფოლკლორისათვის.

როგორ სწავლობდნენ ჩვენი წინაპრები ბავშვობიდან ხალხურ სიმღერას? – ყანაში თუ ვენახში მუშაობის დროს, მგზავრობისას, ნადიმზე და ა.შ.. ჩემთვის ვფიქრობდი, თუ შეიძლება დიდმა იმღეროს „ჩაკრულო“, რატომ ვერ შესძლებს ბავშვი?! პროფესიულ დონეზე დავიწყე მოზარდებთან მუშაობა, ანზორ ერქომაიშვილმაც ხომ შეძლო და გამოუვიდა ანსამბლ „მართვესთან“.

დღეს, ჩემი ბავშვები ჩაკრულოსაც მღერიან, გრძელ კახურსაც და სხვადასხვა კუთხის სიმღერებსაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემმა მიზანმა და ექსპერიმენტმა გაამართლა.

ასევე ვასწავლი ქართულ და უცხოურ კლასიკას, ვთვლი, რომ კარგად მუშაობს ფოლკლორის და კლასიკის სინთეზი. სასიმღერო ხელოვნების დასახვეწად, მონაცემების შესაბამისად, ეუფლებიან ქართულ რომანსებს.



ბავშვობაში მეც გატაცებული ვიყავი საოპერო ხელოვნებით. თითქმის ზეპირად ვიცოდი რადიოდან ნასწავლი ქართული არიები.

***– რა გეგმები გაქვთ ანსამბლთან დაკავშირებით?***

– ვამზადებ ახალ პროგრამას სრულიად განსხვავებულს, ქორეოგრაფ ფერლანდ მზექალაშვილთან ერთად. ვგეგმავთ გასტროლს საზღვარგარეთ. ჯგუფში გაერთიანებული იქნება ოცამდე მომღერალი და მოცეკვავე, პროგრამაში ჩავრთავთ სალამურსაც. გვექნება ხალხური ფოლკლორიც, კლასიკაც და იმ ქვეყნის ხელოვნებაც სადაც ტურნე იგეგმება.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ერთი გმირი ამბობს: „ქართული ხალხური სიმღერა ერთი გრძელი კვნესაა და ჩვენ მაინც სიმღერას ვარქმევთ“.

***– რა არის ქართული სიმღერა?***

– ქართული ხალხური სიმღერა ფენომენია. სათავეს უძველესი დროიდან იღებს. იგი დაკავშირებული იყო ჩვენს წინაპართა ყოფასთან. მასში, როგორც სარკეში, არეკლილია ქართველი ერის უმდიდრესი ისტორია, სულიერი მისწრაფებანი, ზნეობრივი სისპეტაკე, კაცთმოყვარეობა, პატრიოტული და გმირული შემართება. ოდითგანვე ხალხური მუსიკა ერის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა და ქართველი კაცის სამეურნეო თუ ყოფით საქმიანობას უკავშირდებოდა. მღეროდნენ ომის, შრომის, ავადმყოფობის, მხიარულების, მწუხარების დროს. სიმღერა სწორედ ის ძალა იყო, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა, ამიტომაც უფრთხილდებოდა ქართველი კაცი თავის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ენას. თქვენ კარგად მიცნობთ და იცით ჩემი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის მიმართ და მადლობელი ვარ კითხვა რომ ასე დამისვით. უბედნიერესი კაცი ვარ ილია ჭავჭავაძის სამშობლოში რომ დავიბადე. გადაწყვეტილი მაქვს სიკვდილამდე ვემსახურო ქართული ხალხური სიმღერის შესწავლას. რომ გარდავიცვლები ანდერძს ვტოვებ სიმღერით გამაცილოთ და იმ მიმართულებით დამკრძალონ, რომ სახით ილია ჭავჭავაძის ძეგლს ვუყურებდე. ეს იქნება ჩემი პანთეონი.



**ესაუბრა**
**მაია დიასამიძე**

# 2023 წლის რთველი ჩატარდება ორგანიზებულად და ყველა მევენახე შეძლებს მოსავლის შეუფერხებლად დაბინავებას





დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

***სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინებისათვის და ცდილობს გამიზნული პროგრამების მეშვეობით დაეხმაროს ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, რათა აწარმოონ მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. რომელი მიმართულების პროგრამებში ჩაერთვნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერები და როგორია შედეგები?***

– სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით სოფლის განვითარების სააგენტო აწარმოებს მრავალ საინტერესო პროგრამებსა და პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს სოფლად დასაქმებულ ადამიანებს ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობაზე. პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

მართლაც მოგეხსნებათ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რაშიც დიდი წილი შეაქვს ჩვენს ხელისუფლებას და ყველანაირი ძალისხმევით ცდილობს ხელი შეუწყოს და განავითაროს სოფლის მეურნეობა, რათა ჩვენი პროდუქცია შეესააბამებოდეს ევროსტანდარტებს.

ამ კუთხით მთავრობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერებისათვის ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს. რაც ხელს უწყობს მაღალ პროდუქციული მოსავლის მიღებას, ასევე თითოეული ფერმერისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყვარლელმა ფერმერებმა ისარგებლეს სახელმწიფო პროგრამებით რის შედეგადაც გაუმჯობესდა მათი ეკონომიკური მდგომარეობა.

1. „აგრო დაზღვევა“ ისარგებლა 2500-მა ფერმერმა. დაზღვეულია 3000 ჰა.

2. „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ისარგებლა 300 ბენეფიციარმა.

3. პროგრამა „დანერგე მომავალის“ ფარგლებში ჭაბურღილისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობა. ისარგებლა 100 მა ბენეფიციარმა.

4. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთანადაფინანსების პროგრამა ისარგებლა 150 ბენეფიციარმა.

5. „ახალგაზრდა მეწარმე“ ისარგებლა 92 ბენეფიციარმა. მცირე გადამამუშავებელი ღვინის საწარმო გააკეთა 6 ბენეფიციარმა, 86 ბენეფიციარმა გააშენა საფერავის ჯიშის ვენახი.

6. კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 3 კოოპერატივმა.

7. თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა ისარგებლა 2400 ფერმერმა.

***– ბატონო თამაზ, როგორ მიმდინარეობს „რთველი 2023“, ხომ არ იყო ხელისშემშლელი ფაქტორები ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით?***

– ყვარლის მუნიციპალიტეტში „რთველი 2023“ აქტიურად მიმდინარეობს. მევენახეები მთავრობის ძალისხმევით უპრობლემოდ აბარებენ ყურძნის მოსავალს, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო ქარხნებში.

მნიშვნელოვანია, აღინოშნოს, რომ 2023 წლის რთველი ჩატარდება ორგანიზებულად და ყველა მევენახე შეძლებს მოსავლის შეუფერხებლად დაბინავებას. შესაბამისად, არცერთ მევენახეს მოსავალი ჩაუბარებელი არ დარჩება. იმ შემთხვევაში, თუ კერძო სექტორის მხრიდან არ იყო მოთხოვნა ყურძნის შესყიდვაზე, სახელმწიფო მზადაა 90 თეთრად შეიძინოს მევენახეებისგან დასეტყვილი, დაზიანებული ყურძენი, რისი საშუალებითაც საბოლოო ჯამში მოხდება მოსავლის სრული დაბინავება.

ასევე მთავრობის გადაწყვეტილებით ის კომპანიები, რომლებიც მევენახეებისგან შეიძენენ 100 ტონა და ზევით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშს ყურძენს, ერთ კილოგრამზე გადაანგარიშებით მიიღებენ 20 თეთრის ოდენობის სუფსიდიას.

***– დღეისათვის რამდენი ტონა ყურძენია ჩაბარებული ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებში, საკუთარი მოხმარებისთვის დაწურულ და რეალიზებულ ყურძენს თუ ჩავთვლით, რამდენი ტონა მოიკრიფება ყვარლის მუნიციპალიტეტში, შარშანდელთან შედარებით როგორ მოსავალს ელოდებით?***

– წლევანდელი წელიწადი ყვარელი მევენახეებისთვის არახელსაყრელი იყო აგროკლიმატური პირობების გამო, რაც გამოიხატა ჭარბი ნალექისა და სეტყვის სახით და მეტად დამაზიანებელი აღმოჩნდა. მევენახეებს 30%-40% – ით შეუმცირდათ მოსავალი.

გასულ წელს ყვარლის მუნიციპალიტეტში მოიკრიფა 65 280 ტონა ყურძენი, მათშორის:

30 200 ტონა რქაწითელი

780 ტონა მწვანე

32 150 ტონა საფერავი

2023 წლისათვის ველოდებით შემცირებულ მოსავალს, სავარაუდოდ 50 000 ტონამდე, აქედან 23 000 ტონამდე საფერავს, 24 000 ტონამდე რქაწითელს, 800 ტონა კახურ მწვანეს, ხოლო 2 200 ტონამდე სხვა ჯიშის ყურძნებს.

***– მიმდინარე წელი მეტად არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოირჩეოდა წინა წლებთან შედარებით, განსაკუთრებით სეტყვამ და ქარიშხალმა დააზიანა მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურები, სახელმწიფო აგროდაზღვევით თუ ისარგებლეს ჩვენმა ფერმერებმა?***

– არახელსაყრელმა აგროკლიმატურმა პირობებმა წლევანდელ წელიწადს ყვარლელი ფერმერები საგრძნობლად დააზიანა.

ჭარბმა ნალექმა გამოიწვია სოკოვანი დაავადებების სიმძლავრე, ასევე სეტყვამ და ქარიშხალმა თითქმის 30%-40% მდე შეამცირა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ჩვენი მოსახლეობა ბოლოწლებში აქტიურად სარგებლობს „აგროდაზღვევის“ პროგრამით.

წლევანდელ წელს „აგროდაზღვევით“ 2500 მა ფერმერმა ისარგებლა, ხოლო სულ დაზღვეულია 3000 მდე სოსოფლო-სამეურნეო კულტურა.

***– გლობალური დათბობის პირობებში წარმოუდგენელია მოსავლიანობის ზრდა წყლის გარეშე, როგორ ვითარდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტში?***

– თანამედროვე გლობალური დათბობის პირობებში უხვი და ხარისხიანი მოსავლის მოყვანა შეუძლებელია მელიორაციის გარეშე. თითქმის შეუძლებელია ყვარლის მუნიციპალიტეტში ადაპტირებული შემოსავლიანი კულტურების მოსავლის მიღება მელიორაციის გარეშე. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც ქვეყანაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი მწყობრიდან იყო გამოსული. 2012 წლიდან მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გაზრდის მიზნით, შპს „საქართველოს მელიორაცია'' და ადგილობრივი ხელისუფლება სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს. ყოველწლიურად რემონტდება და იწმინდება სარწყავი არხები და სათავე ნაგებობები. აქვე ავღნიშნავთ, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტი განიცდის სარწყავი წყალის დეფიციტს გვალვიან ივლის-აგვისტოს თვეებში და მნიშვნელოვანია არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენება.

***– რამდენმა ბენეფიციარმა ისარგებლა ჭაბურღილებისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოსაწყობად მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტებით?***

– 2012 წლიდან დღემდე განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტებისა და წყლის გონივრულად გამოყენების შედეგად, წყლით უზრუნველყოფილი მიწის ფართობი მკვეთრად გაიზარდა, რაც განაპირობა ჭაბურღილებისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემის დანერგვამ, რომლის განხორციელებაც სახელმწიფომ დაიწყო 2018 წლიდან.

პროგრამით ისარგებლა 120 მა ბენეფიციარმა, რამაც ხელი შეუწყო მოსავლის მაღალ პროდუქტიულობას.

***– 2018 წელს დაიწყო მექანიზაციის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აგროკრედიტითა და აგროლიზინგით მექანიზაციის შესასყიდ თანადაფინანსებას, რამდენმა ისარგებლა ამ პროგრამით?***

– ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე და არსებული მოძველებული ტექნიკის გაუმართაობა. მცირე და საშუალო ფერმერები ვერ ახერხებდნენ ნიადაგის ჯეროვნად დამუშავებას და შესაბამისად ხარისხიანი მოსავლის მიღებას. ქვეყნის მთავრობამ მნიშნელოვანი ღონისძიებები გაატარა არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. შემუშავდა პროგრამები, შეღავათიანი აგროკრედიტი, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა და სხვა პროგრამები. სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა თანადაფინანსების გზით. ფერმერებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა ქონდათ 40-50 %-იანი თანადაფინანსებით შეეძინათ მათთვის მისაღები ახალი ტექნიკა და ამასთანავე ესარგებლათ შეღავათიანი სესხით და აგროლიზინგით. ყვარლის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამებით ისარგებლა 300 მდე ბენეფიციარმა. მუნიციპალიტეტში თითქმის განახლდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მანქანა-იარაღები, ამოიწურა ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე დეფიციტი, რამაც ფერმერებს შესაძლებლობა მისცა აგროტექნიკურ ვადებში შეასრულონ სამუშაოები და მიიღონ მაღალი, ხარისხიანი მოსავალი.

***– მიმდინარე წელს მეთხილეობაში დასაქმებულ ფერმერებს სახელმწიფო დაეხმარა და თითოეულ ჰექტარზე შესაბამისი აგრონომიული ღონისძიებების განსახორციელებლად 500 ლარის მოცულობის აგროქულები მიაკუთვნათ. როგორია შედეგი, მოიმატა თუ არა თხილის მოსავალმა?***

– მოგეხსენებათ „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ მიმდინარეობდა 2022 წლის 7 ნოემბრიდან, 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

პროგრამის ფარგლებში თხილის კადასტრში დარეგისტრირდა 2400 ფერმერი ყვარლის მუნიციპალიტეტში, სულ დარეგისტრირებული ფართობი კი მოიცავს დაახლოებით 1800 ჰა-ს.

რაც შეეხება შედეგს, თანადაფინანსების შედეგად ნამდვილად თვალსაჩინო გახდა იმ რესურსების შექმნა და მობილიზება, რაც ჭირდებათ მეთხილე ფერმერებს თხილის მოვლა-მოყვანისათვის. სასუქებითა და საჭირო პრეპარატებით, რომლითაც ისარგებლეს მეთხილე ფერმერებმა მკვეთრად გააუმჯობესდა თხილის ბაღების მოსავლიანობა და ხარისხი, წინა წლებთან შედარებით.

***– კიდევ რომელი პროგრამებით ისარგებლეს ყვარლელმა ფერმერებმა?***

– ყვარლელმა ფერმერებმა ასევე ისარგებლეს ხელშეწყობის სხვადასხვა პროგრამებით, როგორიცაა: „აგროდაზღვევა“ რომლის ფარგლებშიც მოსახლმეობამ დააზღვია მიწის ნაკვეთები 70% ის თანადაფინანსების ოდენობით, სტიქიური მოვლენებისაგან. დღეის მდგომარეობით დაზღვეულია 3000ჰა მიწის ფართობი. „შეღავათიანი აგროკრედიტი“ რომლის ფარგლებშიც ფერმერებმა მიიღეს დამატებითი ფულადი სახსრები სესხის პროცენტის თანადაფინანსების გზით, რათა უკეთ განავითარონ ან წამოიწყონ სოფლად საქმიანობა. პროექტი მოიცავს სამ კომპონენტს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება სესხის პროცენტის თანადაფინანსების ოდენობა, პროგრამით მოსარგებლე არის 300 ბენეფიციარი. პროგრამა „დანერგე მომავალი“, მისი მიზანია სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურად გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რაც გვეხმარება საექსპორტო პოტენციალის ზრდაში. აღნიშნული პროგრამაც თავის მხრივ მოიცავს კომპონენტებს, როგორიცაა: ბაღების კომპონენტი-თანადაფინანსების ოდენობა არაუმეტეს 70%, სანერგეების კომპონენტი-თანადაფინანსება 50%, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი-თანადაფინანსება 50%. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%ს, მაქსიმუმ 100 000 ლარს, ისარგებლა 150 მა ბენეფიციარმა. პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“, ითვალისწინებს ახალი ბიზნესის დასაწყებად პოტენციური ბენეფიციარისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. მის ფარგლებში ფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობა. თანადაფინანსება მოიცავს საინვესტიციო ღირებულების 40%ს, მაგრამ არაუმეტეს 60 000 ლარს. სულ ისარგებლა 92 მა ბენეფიციარმა. „კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“, მისი მიზანია კოოპერატივსებისთვის, თანადაფინანსების გზით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს ტექნიკის ღირებულების 50%-ს, მაქსიმუმ კი 100 000 ლარს. ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ფინანსდება არაუმეტეს 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ბენეფიციარს შეუძლია მოითხოვოს 1 ან რამდენიმე ტექნიკა, ხოლო ერთი სახეობის ტექნიკა უნდა იყოს ერთი ერთეულის მოცულობით. ყვარლის მუნიციპალიტეტში ისარგებლა 3 მა კოოპერატივმა.

ყვარლელი ფერმერები ასევე სარგებლობენ სხვადასხვა პროგრამებით, როგორიცაა ENPARD-ის, FAO-სა და USAID-ის მიერ ინიცირებული. მათი საერთო მიზანია მხარი დაუჭირონ ინდივიდუალურ ფერმერებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს, კოოპერატივებსა და მუნიციპალიტეტებს, რომ განავითარონ აგრარული პროექტები, რომლებიც ავლენენ ძლიერ ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს.

***– გაუმჯობესდა თუ არა მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა და როგორი იქნება სოფლის მეურნეობაში საერთო ჯამში ფინანსური შემოსავლები?***

– უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. გასულ 2022 წელს ყურძნის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა მუნიციპალიტეტში 85 მილიონ ლარს გადააჭარბა. შემოსავლები გაზრდილია მუნიციპალიტეტის სხვა პრიორიტეტულ დარგებშიც: მეთხილეობაში მიღებულმა სავარაუდო შემოსავალმა შეადგინა 26 მილიონი ლარი; მეფუტკრეობაში – 25 მილიონი ლარი; ბაღჩეული კულტურები – 16 მილიონი ლარი; მარცვლეული – 18 მილიონი ლარი; კენკროვანი კულტურები 7 მილიონი ლარი; მეცხოველეობა – 10 მილიონი. სოფლის მეურნეობის წარმოებული პირველადი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა ყვარლის მუნიციპალიტეტში. 200 მილიონ ლარს გადააჭარბა. მნიშვნელოვანია შემოსავლები ღვინის და არყის რეალიზაციიდან.

მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება აისახება სოფლის მოსახლეობის პირადი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კუთხით.

სავარაუდოდ მნიშვნელოვნად გაიზრდება შემოსავლები მიმდინარე 2023 წელს, რამდენადაც გაზრდილია მოსავლიანობა მეთხილეობაში, მემარცვლეობაში, მეცხოველეობასა და მეფუტკრეობაში, ხოლო ბაღჩეული კულტურების მოსავლის სარეალიზაციო ფასი გასამმაგებულია, გაზრდილია კენკროვნების მოსავლიანობა და სარეალიზაციო ფასიც.

***– დიდი მადლობა ბატონო თამაზ საქმიანი საუბრისთვის, გისურვებთ დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებას, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგების დაჩქარებულ განვითარებას ისახავს მიზნად.***

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

*მიილია ზაფხულის ხვატი და დიდ სიცხეებს გარიდებული დამსვენებლები დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. დაიწყო ახალი სასწავლო წელი და სასექტემბროდ ახმიანდა სკოლების ეზო-ყურეც. თუ როგორი განწყობითა და შემართებით შეხვდა ახალი სასწავლო წლის დაწყებას სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის საჯარო სკოლის ხელმძღვანელობა ჩვენს მოსწავლეებს, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ამ საჯარო სკოლის დირექტორი ბელა ოსეფაშვილი.*

***– ქალბატონო ბელა, როგორ შეხვდა სკოლა ახალ სასწავლო წელს, რა არის სკოლის მთავარი სიახლე და სასექტემბროდ თუ ჩაუტარდა სკოლას რემონტი?***

– ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყება ემოციებითაა დატვირთული..



# ჩვენი სკოლის ერთ-ერთი უპირატესობა მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობებია

როგორც ყოველთვის, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის N1 საჯარო სკოლა აქტიურად მოემზადა ახალი სასწავლო წლის დასაწყებად. დღეის მდგომარეობით სკოლაში 500 ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, რომელთაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ემსახურებიან. 15 სექტემბერს თითოეული კლასის მოსწავლეებს მერხებზე დახვდებათ ახალი სახელმძღვანელოები, რომელთა უსასყიდლო გადაცემასაც ყოველწლიურად უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გვეამაყება, რომ ჩვენი სკოლა გამორჩეულია რაიონში მოტივირებული, მაღალკვალიფიციური და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული კადრით. სკოლაში ამჟამად დასაქმებულია 47 პედაგოგი, მათგან 12 – მენტორი, 13-წამყვანი,22 – უფროსი მასწავლებელია. ყოველივე ეს კი, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე და მოსწავლეთა შედეგებზე.

ჩვენთვის მართლაც სასიხარულო სიახლეა, რომ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის N1 საჯარო სკოლაში რამოდენიმე თვეში მსოფლიო ბანკის მიერ ახალი შენობის მშენებლობა დაიწყება, რომელიც გათვლილია 700 მოსწავლეზე, ადაპტირებული და მორგებული იქნება თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე და აღიჭურვება თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. დაახლოებით ორ წელიწადში გვექნება თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლა სასიამოვნო გარემოთი, რაც მეტ მოტივაციას მისცემს როგორც მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს. ამისთვის მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან ჭიპაშვილს, რომლის უდიდესი წვლილიცაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებაში, ყვარლის N1 საჯარო სკოლას ქონდეს ახალი, უახლესი სტანდარტებით აშენებული სასწავლო კორპუსი.

***– რამდენი პირველკლასელი მიუჯდა მერხს და როგორი გარემოა შექმნილი მათთვის?***

– პირველკლასელთათვის სკოლაში პირველი ნაბიჯები მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასაწყისია, რაც ჩვენ, პედაგოგებს მეტ მოტივაციას გვაძლევს, თავდაუზოგავად ვიმუშაოთ.2023-2024 სასწავლო წლისთვის ყვარლის N1 სკოლაში დარეგისტრირებულია 48 მოსწავლე, რომლებიც გადანაწილებულნი არიან ორ პარალელურ კლასში.

პირველკლასელთათვის გარემონტდა საკლასო ოთახები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მათ საჩუქრად გადაეცემათ პორტატული კომპიუტერები„ბუკი''. აღსანიშნავია, რომ წელს შეიცვალა 1-2 კლასის სახელმძღვანელოები და ჩვენი პატარები, ასევე საჩუქრად, ახალ წიგნებს მიიღებენ.

გვეამაყება, რომ პირველკლასელთა დამრიგებლები, ახალგაზრდა, მოტივირებული პედაგოგები, რომლებიც სულ ორი წელია, რაც სკოლაში მუშაობენ, წელს წამყვანი პედაგოგის სტატუსით შეუდგებიან პირველკლასელთა განათლებასა და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვას.

***– წელს რამდენი აბიტურიენტი გყავდათ, რამდენმა მოიპოვა გრანტი, მათ შორის 100% – იანი?***

– წელს სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის N1 საჯარო სკოლას 19 აბიტურიენტი ყავდა. ცხრამეტივე სტუდენტი გახდა და სხვადასხვა უნივერსიტეტებში განაგრძობენ განათლების მიღებას. საამაყოა, რომ ჩვენი სკოლის ორი კურსდამთავრებული: ანა ხაჩიშვილი და დაჩი ნაზრიშვილი 100% – იანი გრანტით ჩაირიცხნენ „თავისუფალ უნივერსიტეტში'' და აგრარულ უნივერსიტეტში, სამმა მოსწავლემ: დავით ჭუნაშვილმა, გიორგი დავითაშვილმა და ანა ოსეფაშვილმა 50% – იანი გრანტი მოიპოვეს და კავკასიის უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ, ასევე შავი ზღვის უნივერსიტეტში შიდა დაფინანსება მოიპოვა ნინი ოსეფაშვილმა, ოთხი კურსდამთავრებული კი სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტში უფასო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს კურსდამთავრებულებს მათი ცხოვრების ახალ, სერიოზულ ეტაპზე!

***– თუ გყავთ დამწყები პედაგოგები?***

– ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ დამსახურებული კომპენსაციის მიღების შემდეგ საკმაოდ ბევრმა ასაკოვანმა პედაგოგმა დატოვა სკოლა და დღის წესრიგში დადგა მათი ახალი კადრებით ჩანაცვლების საკითხი. ყოველწლიურად, საჭიროებისამებრ, ვაცხადებთ ღია კონკურსს ახალგაზრდა, მოტივირებული პედაგოგებით ჩვენი გუნდის შევსების მიზნით. წელსაც, შესაბამის ვებ-გვერდზე სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია დაწყებითი კლასების მასწავლებლების შესარჩევად და ღია კონკურსის საფუძველზე ორი ახალგაზრდა, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი დასაქმდა ჩვენს სკოლაში. დარწმუნებული ვარ, ორივე სანიმუშოდ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და ჩვენს გუნდში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს.

***– სკოლას თუ ექნება კვების ობიექტი, რომელიც რამდენიმე წელი აღარ ფუნქციონირებდა?***

– სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის N1 საჯარო სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი და მზაობა კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლისთვის. ვაცხადებთ აუქციონს შესაბამისი ფართის იჯარით გასაცემად და იმედი გვაქვს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ჩვენს მოსწავლეებს ექნებათ საშუალება, ისარგებლონ სკოლის შენობაში არსებული კვების ობიექტით.

***– თქვენი აზრით დღეს სკოლებში სწავლების რეფორმა სრულყოფილია?***

– მისასალმებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუდმივად ზრუნავს სასკოლო რეფორმის დახვეწა-გაუმჯობესებაზე. საჯარო სკოლის დირექტორები, საგანმანათლებლო რესურსცენტრები, საგნის ექსპერტები აქტიურად ვართ ჩართული ამ პროცესში. ამჟამად სკოლებში ინერგება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მთლიანად კონსტრუქტივისტულ პრინციპებზეა აგებული და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს. ჩვენი სკოლა 2020 წლიდან აქტიურადაა ჩართული „ახალი სკოლის მოდელში'', ყველა პედაგოგი გადამზადებულია შესაბამისი ტრენინგ-მოდულით, თითოეული კლასისა და საგნისთვის შექმნილი გვაქვს საგნობრივი კურიკულუმები რაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივ კათედრაზე გადის რევიზიას და იხვეწება მომდევნო სასწავლო წლისთვის. სასკოლო რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რა თქმა უნდა, პედაგოგთა პროფესიული განვითარება, მათი წინსვლა და სტატუსის შესაბამისად, ანაზღაურების გაზრდა.

***– როგორ მზადყოფნაშია ჩვენი ახალგაზრდობისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი და თუ არიან ჩართულნი რაიონის სასპორტო სკოლაში?***

– მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა მოძველებულია, სკოლას გააჩნია საკმაოდ დიდი სპორტდარბაზი, ასევე სხვადასხვა ღია სპორტული,მათ შორის, ხელოვნურსაფარიანი მოედანი. სკოლაში დასაქმებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და მათი ინტერესებიდან გამომდინარე, მოსწავლეების ჩართვას სხვადასხვა სპორტულ მიმართულებებში. ჩვენს სკოლაში შექმნილია როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის გოგონათა და ვაჟთა გუნდები, რომლებიც წარმატებით გამოდიან სასკოლო ოლიმპიადებსა თუ რაიონულ/რეგიონალურ შეჯიბრებებში. ჩვენი სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა ამავდროულად არის ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი და არაერთი მედლისა და პრიზის მფლობელი.

***– რას გვეტყოდით სკოლასა და მოსწავლეთა მშობლების ურთიერთობაზე?***

– სასკოლო თემი თავისთავად მოიაზრებს სკოლის ადმინისტრაცია-ტექ.პერსონალს, პედაგოგებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. შესაბამისად, წარმოუდგენელია სკოლის გამართული ფუნქციონირება და წარმატებული მუშაობა სასკოლო ცხოვრებაში მშობლების აქტიური ჩართულობის გარეშე. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან ფორმდება ხელშეკრულება, როგორც სახელმძღვანელოების/ბუკების გადაცემასთან დაკავშირებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობისა და მოსწავლეებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების თაობაზე. ეს, რაც შეეხება ფორმალურ მხარეს. ჩვენი სკოლის ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ მშობლებთან აქტიური თანამშრომლობითი ურთიერთობებია. ყოველწლიურად ვგეგმავთ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში, მათი ინიციატივით ვახორციელებთ სასკოლო ღონისძიებებს, გვეხმარებიან სკოლის წინაშე წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს. სამწუხაროდ, ამის პარალელურად, დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც მშობლების ემიგრაციის გამო ნათესავებთან იზრდებიან და ჩვენ მხოლოდ ინტერნეტით გვაქვს შესაძლებლობა, ვიკონტაქტოთ მათთან შვილის მიღწევებსა თუ პრობლემებზე სასაუბროდ.

***– რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდებს?***

– ჩვენს მოსწავლეებს, მომავალ თაობას ვურჩევდი, იყვნენ მოტივირებულები და მიზანდასახულები საკუთარი ოცნებების ასრულებისთვის, ჩვენ კი, სკოლის თითოეული პედაგოგი, ტრადიციულად,- მათ მიზნებისკენ მიმავალ გზაზე სიამოვნებით გავუწევთ მეგზურობას.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# მათზე ზრუნვასა და ფიქრში გატარებული წლები

*სათნოების სახლი – ერთ-ერთი თავშესაფარი ჩვენი გაჭირვებული ბენეფიციარების, სახლი, რომლის შესახებაც არაერთხელ გვისაუბრია და გაგვიშუქებია გაზეთ „ყვარელში“. ჩვენ ყოველთვის საქმის კურსში ვართ იქ არსებულ მდგომარეობაზე და გვაინტერესებს თუ როგორი კმაყოფილები არიან ამ სახლის წევრები, მათ ხომ ყოველთვის საზოგადოების თანადგომა და ყურადღება სჭირდებათ. ამჯერადაც შევეხმიანეთ ამ სახლის დირექტორს, ქალბატონ თამარ ნაზრიშვილს, რომელიც ყოველთვის მათზე ზრუნვაში და კეთილდღეობაზე ფიქრით აღამებს და ათენებს. ამ სახლის თანამშრომლები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ერთი ბენეფიციარიც კი არ გავიდეს ამ სახლიდან უკმაყოფილო მდგომარეობაში. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც სახლი გადაჭედილი იყო ბენეფიციარებით და გემრიელად შეექცეოდნენ სადილს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ ქალბატონ თამარს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია ცხოვრება მათ გარეშე.*



***– ქალბატონო თამარ, რამდენი წელია რაც მათ სამსახურში ხარ. რას გვეტყოდი ბენეფიციარებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რამდენად რთულია მათთან მუშაობა?***

– რაიონის სათნოების სახლი გაიხსნა 2000 წელს, ქვეყანაში დიდი ეკონომიკური გაჭირვების დროს. პირველ ხანებში სახლი ითვლიდა სულ 80 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს, ამ პერიოდში, დაახლოებით 6 თვის განმავლობაში არსებობდა შემოწირულობებით, შემდგომში ჩავერთეთ გაეროს სასურსათო პროგრამაში, რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია ყვარელში მცხოვრებ გაჭირვებულ ადამიანებს. სამწუხაროდ, გაეროს სასურსათო პროგრამა შეწყდა 2011 წელს და სათნოების სახლის დაფინანსება გააგრძელა ყვარლის მუნიციპალიტეტმა. გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობაც. ძირითადად ჩვენი ბენეფიციარები სოციალურად დაუცველთა რიგს მიეკუთვნებიან. დღეისათვის მათი რაოდენობა ქ. ყვარელში და მეურნეობაში აღწევს 260-ს. რაც შეეხება მათთან მუშაობის პროცესს, გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ რთულიც არის და ადვილიც. თუ შენ მათ აგრძნობინებ, რომ მათზე ზრუნავ და გულწრფელია შენი დამოკიდებულება მათდამი, ძალიან ადვილია.

***– ქალბატონო თამარ, სანიტარიული ნორმების დაცვა ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ თავს კარგად და კომფორტულად გრძნობდნენ ამ სახლის წევრები. სულ ცოტახნის წინ შემოწმდა კიდეც თქვენი ობიექტი სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ და რომელსაც სისტემატური ხასიათი აქვს. რას გვეტყოდი ამის შესახებ ამჯერად?***

– ჩვენ სურსათის უვნებლობის სამსახურის რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებთ და მათი ნორმების დაცვა არის უპირველესი. მადლობა უფალს, რომ არ გვქონია რაიმე ინფექციური დაავადების გამოვლენის შემთხვევები. პანდემიის დროსაც კი არ გამოგვიკეტავს სათნოების სახლი და ჩვეულ რეჟიმში ვმუშაობდით. მადლობა მინდა ვუთხრა სახლის კოლექტივს, რომელმაც სახლში მიტანის სერვისს ბრწყინვალედ გაართვეს თავი. უვნებლობის სამსახურმა დადებითად შეაფასა ჩვენი ობიექტის მუშაობა.

ჩვენს კითხვაზე თუ რამდენად კმაყოფილები არიან სახლის თანამშრომელთა მომსახურებით და როგორ გრძნობენ თავს ჩვენი ბენეფიციარები, საუბარში ჩაერთო პენსიონერი ბენეფიციარი, ქალბატონი მედიკო ხატიაშვილი.

კარგა ხანია, რაც მეც ამ სახლის ბინადარი ვარ და პირადად დადებითად შევაფასებდი მათ მუშაობას იმ მნიშვნელობით, რომ აქ მომსახხურე პერსონალი არის ძალიან თბილი, ყურადღებიანი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამავე დროს ზედმიწევნით იცავენ სანიტარულ ნორმებს და გვიკეთებენ გემრიელ საჭმელებს. ეს სახლი ჩემთვის მეორე ოჯახია და ყოველთვის მომიხარია აქ მოსვლა, კარგ ხასიათზე მაყენებს მათთან გულთბილი საუბარი. ვუსურვებ მათ დიდხანს ემუშაოთ ჩვენს საკეთილდღეოდ და ჯანმრთელობა არ მოაკლოთ უფალმა. მადლობა მათ ყოველივე ამისთვის.

***– ქალბატონო თამარ, რამდენჯერადი კვებით უმასპინძლდება სათნოების სახლი ჩვენს ბენეფიციარებს და როგორი კვებითი ღირებულების პროდუქტები შედის მათ რაციონში?***

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კვებითი რაციონი დამაკმაყოფილებელია. ამ სახლში კვება ერთჯერადია, – სადილი. რაციონში შედის საქონლის ხორცი, ქათამი, ლობიო, ბოსტნეულის სუპები, ბრინჯის ფაფები, ჰერკულესი. გასული წლიდან კვების რაციონში შევიტანეთ სოსისი, რომლის მიღებისგან აქამდე თავს ვიკავებდით. პური კი ყველაზე მთავარია, მისი რაოდენობა ჩვენთან ნორმალურადაა. ზაფხულის თვეებში მათთან შეგვაქვს ხოლმე ნაყინიც.

***– ბენეფიციართა მატების რიცხვს არ გამოვრიცხავ დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის ფონზე. თუ იმატა მათმა რიცხვმა და რამდენით?***

– მატება უმნიშვნელოა იმ განცხადებების საფუძველზე, რომელიც შედის მუნიციპალიტეტში. ამჯერად რვა ბენეფიციარით იმატა მათმა რიცხვმა. კომისიის გავლის შემდეგ ხდება მათი მიღება სათნოების სახლში.

***– ვინ ზრუნავს და ვინ გიდგათ გვერდში სახლის კვების რაციონის მომსახურების მხრივ და რამდენად კმაყოფილია კოლექტივი?***

– ჩვენი სათნოების სახლის დაფინანსება, როგორც აღვნიშნე, ხდება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ყოველწლიურად ვაცხადებთ ტენდერს და ასე ხდება სურსათის შემოტანა. სისტემატურ ყურადღებას ვგრძნობთ მუნიციპალიტეტის მერის გივი ზაუტაშვილის და საკრებულოს თავმჯდომარის ილია მზექალაშვილისგან, რომლებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ დაგვეხმარონ პრობლემის მოგვარებაში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ. მადლობა მინდა ვუთხრა ასევე ჩემს კოლექტივს იმისთვის, რომ სითბოს და სიყვარულს არ იშურებენ ჩვენთან შემომსვლელი ყველა ბენეფიციარისთვის. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ სოციალურად დაუცველებს საგრძნობლად მოემატათ ფულადი ანაზღაურება, რაც დიდად შეუწყობს ხელს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მე ვფიქრობ, დადგება ასეთი დრო, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ იქნება სათნოების სახლი. ქველმოქმედება კი ღვთის ნიჭია და ყველა, ვისაც ეს გააჩნია, დალოცვილია. ასევე მადლობა მათ, ვისაც მცირე შესაწირი მაინც გაუცია სათნოების სახლის ბენეფიციარებისთვის.

***– რა სიახლეებს სთავაზობს სათნოების სახლი ბენეფიციარებს მომავალში, რომელიც მათ გულებს გაახარებს?***

– როგორც აღვნიშნე, ჩვენს ბენეფიციარებთან გვაქვს ძალიან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება. სისტემატურად ვართ მათთან ისეთ ურთიერთობაში, რომ თავიანთ პრობლემებს და გულისტკივილს გვიზიარებენ. ჩვენც ვცდილობთ მივეხმაროთ მათ პრობლემების მოგვარებაში, რომ მათი ცხოვრება გახდეს უფრო ხალისიანი. ხშირად ექსკურსიის სახით ვახდენთ მსურველთა გაყვანას რომელიმე სალოცავში, წელს უკვე მოვილოცეთ ნეკრესის მონასტერში. მომავლისთვის გვაქვს ჩანაფიქრები, რომელიც მათ ცხოვრებას უფრო გაახალისებს.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ88. 88232572
თარიღი:14/09/2023

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" თანახმად

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ნემსაძეს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ნოემბრის #ბ88.88213295 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

გივი ზაუტაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია · GEORGIA · CITY HALL OF KVARELI MUNICIPALITY · 241578574

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

## ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს საჯარო აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

| ლოტის № | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | სახელმწიფო ნომერი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომანქანა FORD TRANSIT | 1995 | MAI930 | 1700 | 340 | 85 | 50 |
| 1 | ავტომანქანა FORD TRANSIT | 1993 | TF883FF | 2000 | 400 | 100 | 50 |

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:**

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

**სააუქციონო პირობები:**

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563332;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" - ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2023 წლის 19 ოქტომბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2023 წლის 20 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1 - ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 472 067; №577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.



# ყურძნის დაკრეფა და დაწურვა – ივანე ჯავახიშვილი საქართველოში რთველის შესახებ

რთველს ძველად სთველი ერქვა. ხილეული ნაყოფის მოკრეფის პროცესს მაშინ ორი განსხვავებული სიტყვით აღნიშნავდნენ – მოსთვლა და მოწილვა. პირველმა სახე იცვალა და შემორჩა, ხოლო მეორე თითქმის უკვალოდ გაქრა.

დღესაც რომ ჭურის თავზე შემოუსხდებიან და დედას პურს გასტეხენ, ალბათ შარშანდელ სთვლობას გაიხსენებენ და წლევანდელი მოსავლის დაკრეფა-დაწურვაზე ჩამოაგდებენ სიტყვას. ჯერ კიდევ მოსაკრეფ ვენახს ძველად სასთულებელს ეძახდნენ. ამ სიტყვის არქაული კეთილხმოვანება, ჩემი აზრით, ღვინისადმი, როგორც რეალური სითხისადმი მოწიწებას ამჟღავნებს.

ყურძნის კრეფის დრო ჯიშზე და ამინდზეა დამოკიდებული. ისე კი, ჩვეულებრივ, ადრინდელ საქართველოში, ყურძენს ოქტომბერში კრეფდნენ და წურავდნენ. ამაზევე მეტყველებს ამ თვის ორი სახელწოდება – სთულის თვე და ღვინობისთვე.

ვენახის და ღვინის თვისებებს მემარნე სინჯავდა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში ნათქვამია, რომელიც „მემარნემ მოიწონოს და ირჩიოს და მოინდომოს", ის უნდა დაწურონ კიდეცო. ყურძნის კრეფას თავის დათქმული დრო ჰქონდა და დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო.

ერთი და ორი კაცი ამ შრომატევად საქმეს ვერ აუვიდოდა. მეზვრესა და მესთველეს გარდა ამ საქმეში საკმარისი რაოდენობის ხალხი იყო ჩაბმული. მტევანს ან ხელით წყვეტდნენ ან დანით ჭრიდნენ და ფაქიზად აწყობდნენ მოცულობით დიდსა თუ მცირე ჩასაწყობში. ყურძენს ჯერ კალათაში აწყობდნენ, კალათა რომ გაივსებოდა, გოდორს მოიკითხავდნენ.

სულხან-საბა განგვიმარტავს, კალათა მცირე გოდორიაო. იმერეთში გოდრის მაგივრობას გიდელი სწევდა. გიდელს გურიაში და სამეგრელოშიც იყენებდნენ. ხეზე ასული კაცი გიდელს რომ გაავსებდა, ნახვრეტებში თოკს გაუყრიდა, ქვემოთ ჩამოუშვებდა და ჩასძახებდა: „ა გიდელიო". ვის არ მოუსმენია გურული ფოლკლორის მშვენება, შესანიშნავი სიმღერა „ა გიდელი". ამ სიმღერაში რიტუალურ მოთმინებასთან ერთად გლეხკაცის უტეხობა და სიჯიუტეც გამოსჭვივის.

ეს თავისებური შრომის ჰიმნია, რომელსაც სიხარული და ახლისქმნის ენთუზიაზმი ახლავს.და აი დადგა ჟამი წნეხვისა! სიტყვა „წნეხვა" მაშინ გაჩნდა, როცა ერთად დაგროვილი ყურძნის ჭყლეტას და დაწურვას მიჰყვეს ხელი.

საწნეხელი ანუ საწნახელი, ქართლ-კახეთში მოგრძო ოთხკუთხა ქვიტკირისგან გაკეთებული აუზია. მისი ფსკერი ერთ მხარესაა დაქანებული და ბოლოში დაწურული ყურძნის წვენის გამოსასვლელად ღარი აქვს გაკეთებული. საწნეხელში ჩამდგარი მამკაცები ხელიხელგადახვეული ერთად წურავენ ღვინოს. ეს მწიფე ნაყოფთა მოსთვლის თავისებური აპოთეოზია. მშვენიერი ფერხულია, თანახმიერებით და თანადგომით გამორჩეული.

საწნახელს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ქართლ-კახეთში მას ნავსაც უწოდებდნენ, იმერეთში, საწნახელი და ონჯარო, რაჭაში – ხორგო და ჩაჭრილა, გურია-სამეგრელოში – ოჭინახი, ჯირაქვა და ჯერუკი.ყურძნის დაწურვას თავისებური წესები და ტექნოლოგია აქვს. მწურავი ცდილობს ჭაჭა და კლერტი საწნახელში დარჩეს, წვენი კი ღარში ჩაედინოს.

XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კახეთში ამ მიზნით „საწნეხლის ლატანს" (საბა) იყენებდნენ. ამ ლატანს თუ ლასტს ერქვა ტოპკირი. ტოპკირი საცერის მსგავსი მოწყობილობა იყო.რაღა თქმა უნდა, საქართველოს ყველა კუთხეში ყურძნის წურვის თავისებური გამოცდილება არსებობდა.

ვთქვათ რაჭაში იყენებდნენ საწნეხს, რომელსაც ჭახრაკი ერქვა. ჭახრაკი საკმაოდ რთული მოწყობილობა გახლდათ. სირთულის თვალსაზრისით მას არც სხვა რაჭული საწნეხი – წნერი ჩამოუვარდებოდა.

საერთოდ, საწნეხ მოწყობილობებს საქართველოში თავისი ისტორია აქვს. ყოველ კუთხეში განსხვავებული სტრუქტურის მქონე მოწყობილობები არსებობდა. შესაბამისად მათ თავიანთი სახელწოდება ჰქონდათ.

უძველესი საწნეხი იყო საქაჩავი, იგივე საქაჯავი, ან საქაჯველი, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში ხმარობდნენ. ჭახრაკს (უკვე ვახსენეთ) რაჭის გარდა გურიაშიც იყენებდნენ; წნერის შესახებ უკვე ვისაუბრეთ; არსებობდა კიდევ ხარხინი, იგივე ხარხიმი. ესენი იმერეთსა და რაჭაში გამოიყენებოდა.

ბუნებრივია, ყურძნის წვენს აწყვაც სჭირდებოდა, ე.ი. გარკვეული ტევადობის საწყაო. ამიტომ ძველად საქართველოში საწნახელი არა მხოლოდ დასაწნეხ მოწყობილობად მოიაზრებოდა, არამედ საზომის ერთეულადაც იყო ნავარაუდევი. ყურძნის წვენის ოდენობა ყოველთვის მკაცრად იყო განსაზღვრული. გარკვეული დროის განმავლობაში ღვინის ესა თუ ის მარაგი უნდა ჰყოფნოდა ოჯახს. სხვა საწყაოთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო კოკა და ჩაფი.

დასტურლამალის მიხედვით, შულავრის მოურავს ყოველწლიურად საწნახლიდან ერთი კოკა ტკბილი ერგებოდა, ნაცვალს – ორი ჩაფი უნდა ხვდომოდა წილად. ღვინის საზომი ერთეულები იყო აგრეთვე კოკა, ბათმანი, თუნგი. ქვევრის ტევადობა კოკათა რაოდენობით განისაზღვრებოდა. ვთქვათ, გურიაში ძალზე დიდ ჭურებს ამზადებდნენ, თითოეული მათგანი 200-300 კოკიანი ყოფილა. გურიაშიც და სამეგრელოშიც ჭურ-ქვევრების თავი ისეთი ვიწრო იყო, რომ მრეცხავი შიგ ვერ ჩადიოდა და სარეცხს ხმარობდა.

აბა ის ქვევრი რა ქვევრი იყო, რომელსაც თავისი სახურავი არ ჰქონდა. ქვევრის სახურავს სარქველი ჰქვია. სარქველს ჩვეულებრივ ქვისას აკეთებდნენ. იმერეთში ხისგან გაკეთებული სახურავი იყო გავრცელებული, გურიაში სარქველს როგო ერქვა.

ორშიმო! ვის არ სმენია ეს კეთილხმოვანი, სასიამოვნო ასოციაციების აღმძვრელი სიტყვა! ორშიმოს ქვევრში ჩაჰყოფდნენ და ფრთხილად იღებდნენ ღვთაებრივ სითხეს! ყურძნის დაკრეფა და დაწურვა არა მხოლოდ შრომა იყო, არამედ სრულიად განსაკუთრებული რიტუალი.

კრეფას განუმეორებელი სიმღერები ახლდა, წურვა კი თვითონ იყო საკვირველი „ქორეოგრაფია". საწნახელში ჩამდგარი ხელიხელგადახვეულ ჭაბუკთა მოძრაობის რიტმი სიცოცხლის მარადიულობას განასახიერებდა.

# ყვარელი ყველაფერია ჩემთვის. ის არის ჩემი ნავსაყუდელი, ჩემი ბავშვობა და თავისუფლება...

*ნიჭიერი ადამიანები რათქმაუნდა არ მიკვირს, მაგრამ განსაკუთრებულად ნიჭიერი, საინტერესო, განსხვავებული, ინდივიდუალიზმით გამორჩეული შემოქმედი ადამიანების გაცნობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. სწორედ ამიტომ, მიიპყრო ჩემი ყურადღება ონლაინ სივრცეში ჩემთვის სრულიად უცნობმა ნანა ნასყიდაშვილმა საკუთარი ნოველებით, ჩანახატებით და მოგონებებით. მით უფრო დამაინტერესა, როცა აღმოვაჩინე რომ ნანა ყვარლელია თუმცა, ის 20 წელია ემიგრაციაში ცხოვრობს.*

*მგონია, საქართველოში რომ ეცხოვრა, მის ნიჭიერებას ბევრი დამფასებელი ეყოლებოდა, რადგან ის არის ნამდვილი მწერალი. ნანას ნაწერების კითხვა უდიდესი სიამოვნებაა და დარწმუნებული ვარ მისი შემოქმედება გულგრილს არავის დატოვებს.*

*ბედნიერი ბავშვობა, სტუდენტობის ტკბილ-მწარე მოგონებები, ემიგრაციაში გადახვეწილი ადამიანის განცდები, სამშობლოს და საყვარელი ადამიანების მონატრება აცოცხლებს ნანას შემოქმედებას. არის კიდევ ერთი აღსანიშნავი რამ, მას როგორც ყვარლის სახალხო თეატრის ცნობილი, ღვაწლმოსილი მსახიობის, მანია მათიკაშვილის შვილიშვილს ძალიან საინტერესო მოგონებები აქვს მანია ბებოზე.*

*არ შემეძლო მე ის არ გამეცნო.*

*. და არ გამეცნო ყვარლელებისთვის ისე, როგორც მწერალი.*

*ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ და მინდა ამ საუბრის თანამონაწილენი თქვენც იყოთ ჩვენო მკითხველებო.*

**— ნანა, გაგვეცანით — „ვინ ხარ და საიდან მოდიხარ“?**

— დავიბადე 1980წლის 29მარტს ქალაქ ყვარელში, სადაც გავიზარდე. დავამთავრე ყვარლის აკაკი წერეთლის სახელობის მეორე საშუალო სკოლა. ასევე ყვარლის სამუსიკო სკოლის შვიდწლედი. სკოლაში კარგი მოსწავლე ვიყავი, თუმცა ჰუმანიტარულ საგნებში ბადალი არ მყავდა. განსაკუთრებით მიყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა. სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ფილოლოგიურზე ჩაბარება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც პირველ წელს ერთი ქულა დამაკლდა. მაშინ პირველად შევეჯახე ცხოვრებას და პირველმა იმედგაცრუებამ იმდენად იმოქმედა ჩემზე, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა, თუმცა რადგან სულით მებრძოლი ადამიანი ვარ მომავალი წლისთვის უფრო უკვე გამოცდილება მიღებულმა და უკეთესად მომზადებულმა, ამჯერად ერთდროულად ორ უნივერსიტეტში შევიტანე საბუთები. ჯავახიშვილში კვლავ ფილოლოგიურზე და სულხან-საბაში უცხო ენებზე. მაღალი ქულები ავიღე ორივეგან მეორე წელს, თუმცა ამჯერად უკვე ნახევარი ქულები დამაკლდა ერთგანაც და მეორეგანაც. არადა, აბსოლიტურად დარწმუნებული ვიყავი მაშინდელი წლების მიხედვით, რომ ორივეგან მოვხვდი. თუმცაღა „ისევ მდევდა ბედი ვერაგი. “ გული იმდენად მქონდა გატეხილი ამ ყველაფერზე რომ გადავწყვიტე შემოდგომაზე სწავლა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში „ალმა-მატერში“დამეწყო. საბუთები ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შევიტანე, სადაც წინამდებარე უნივერსიტეტების ქულებიდან გამომდინარე უგამოცდოდ ჩავირიცხე. უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ საოცარი პიროვნება, აკადემიკოსი მამუკა თავხელიძე. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მასწავლიდნენ ჩემი საყვარელი ლექტორები: ბატონი ნოდარ ტაბიძე, ლევან სანიკიძე, რეზო მიშველაძე, ზაზა გოგია, მერი ურუშაძე და სხვანი. პირველი კურსის მეორე სემესტრში ჩვენს ფაკულტეტს დაემატა“ სატელევიზიო სტუდიის შემოქმედებითი სახელოსნო“ რომლის ხელმძღვანელი და დამაარსებელი გახლდათ პროფესორი თეიმურაზ ფაფერაშვილი. ეს იყო პირველი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში, რომელმაც მაშინ გადატრიალება მოახდინა ჩემს ცნობიერებაში და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, როგორიც დღეს მე ვარ. სტუდიაში კურსიდან შერჩეული ვიყავით ათი სტუდენტი ბატონი თემურის კრიტერიუმებით: წერის, გადმოცემის უნარის, მეტყველების, ზოგადი განათლების შეფასების ნიჭის მიხედვით. შემოქმედებით სახელოსნოში ვიღებდით გადაცემებს, ვამონტაჟებდით, ვწერდით პოლიტიკურ ნაშრომებს, გამოვცემდით ჩვენს მხატვრულ ალმანახს, ვიწვევდით სტუმრად საინტერესო პიროვნებებს. ეს იმდენად გრანდიოზული და ძლიერი სატელევიზიო შემოქმედებითი სახელოსნო იყო, რომ ჯავახიშვილისა და „გეპეის“ ჟურნალისტიკის კურსის სტუდენტები გარკვეული თანხის საფასურად გადიოდნენ აქ ამ კურსს. ბატონ თემურმა და მისმა სახელოსნომ სხვა ადამიანად მაქცია. რაც ყველაზე მთავარი იყო მასწავლა რომ მიზანი თუ არსებობს, ღირს მისთვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია სირთულეებით სავსე გზაზე. „ალმა-მატერი“ წარმატებით დავასრულე 2003წელს და პარალელურად „გოეთეს ინსტიტუტიც“ საიდანაც მეორე საფეხურის (B2)სერთიფიკატი მივიღე. იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად გავემგზავრე გერმანიაში, კერძოდ ბავარიაში. ერთ, პატარა ულამაზეს ქალაქ „დინქელსბულში“ სადაც მუშაობის პარალელურად დავდიოდი გერმანული ენის კურსებზე სერთიფიკატის ასაღებად, რათა შემდგომ მიუნხენის უნივერსიტეტში შემძლებოდა ჩაბარება გერმანული ენის ფაკულტეტზე. საიდანაც ჩემს მიერ გაგზავნილ, შევსებულ საგამოცდო ტესტებზე დადებითი პასუხი მომივიდა. სწავლა სექტემბერში იწყებოდა და რადგან მე რამოდენიმე თვე თავისუფალი მქონდა, გადავწყვიტე საბერძნეთში ჩასვლა და დასვენება. ჩემი აქ ყოფნის პერიოდში მიუნხენიდან მივიღე შეტყობინება ჩემი კურსის“ გადანახლება —გადანაწილებისა სხვა ფაკულტეტზე“



სტუდენტების შემცირების გამო. რაზეც მე უარი გავაგზავნე, რადგან არაფრით არ მსურდა სხვა ფაკულტეტზე სწავლის სურვილი, თუნდაც ეს დროებითი ყოფილიყო. და ასე მოულოდნელად, „შემთხვევით“ გავხდი საბერძნეთის ემიგრანტი. ხშირად მიფიქრია როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება საქართველოში, ან გერმანიაში რომ დავრჩენილიყავი?!

ვინ იცის?!

***— ძალიან საინტერესო, შთამბეჭდავი ჩანახატები და ნოველები გაქვთ. როდის დაიწყეთ წერა?***

— ძალიან მიხარია, როცა მეუბნებიან რომ ჩემი ნაწერები მოწონთ, ან მათი წაკითხვისას ტირიან და ისე განიცდიან, თითქოს თავიანთ ცხოვრების ისტორიას კითხულობდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რაც თავი მახსოვს სულ ვწერ. წერა კითხვას სანამ ვისწავლიდი ჩემს გონებაში ვთხზავდი ამბებს, ვდგავდი სიუჟეტებს. წერა რომ ვისწავლე ბავშვურ ლექსებსა და ჩანახატებს ვწერდი, უფრო მერე კი დღიურებს. არ ვიცი, სულ ვწერდი. ნათლად მახსოვს, ისეთი სურვილი მქონდა ჯერ კიდევ პატარა ასაკში ჩემი ფიქრებისა და განცდების ფურცელზე გადმოსატანად, ისე მჭირდებოდა წერა, როგორც ჰაერი. ერთხელ ბატონმა თემურმა მკითხა: — როდის და როგორ წერო. მუზებს ელოდები, თუ ხმაურშიც შეგიძლია მუშაობაო. ვწერ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ სიტუაციაში. მთავარია დრო მქონდეს. ძნელია ახსნა იმისა, თუ როგორ ვწერ, ან საიდან მოდის ეს ყველაფერი. წინასწარ არასოდეს არაფერს ვფიქრობ. მთავარია პირველი წინადადება დავწერო რომ შემდეგ თავისით ასე უბრალოდ და მარტივად მოდის სიტყვები, რომლებიც წინადადებები ხდებიან და წინადადებები კი ჩანახატები და ნოველები. აღსანიშნავია რომ კარგად მყოფს სხვა ხასიათის ჩანაწერები გამომდის, ვიდრე ცუდად ყოფნის დროს, როდესაც ნოველები უფრო მეტად ღრმაა და უფრო მძიმეც. კარგი წიგნი, კარგი ფილმი, მუსიკა, ბუნებაში სეირნობა, საკუთარ თავთან მარტო დარჩენაც კი დიდ ზეგავლენას ახდენს ჩემზე და ისევ წერისაკენ მიბიძგებს. ბავშვობიდან ბევრს ვკითხულობ. ჯერ კიდევ ოთხი წლის ასაკში დავსდევდი მუდარით მშობლებს ფერადი წიგნით ხელში, ჩემთვის ზღაპრები რომ წაეკითხათ. პირველად ექვსი წლის ასაკში წავიკითხე პამელა ტრავერსის — „მერი პოპინსი“ რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ, რასაც შემდგომ მოყვა მრავალი სხვა წიგნი. დედაჩემი, ქეთინო ბაიდოშვილი, ყვარლის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუშაობს. სკოლის მოსწავლე ყოველდღე ვაკითხავდი გაკვეთილების შემდეგ და სახლში დაძვრაზე მომქონდა იქიდან წიგნები. მხოლოდ წერა და კითხვა იყო ჩემი“ საარსებო წყარო“, რის გამოც მამა“ წიგნის ჭიას, მეძახოდა. ვფიქრობ, სწორედ წიგნების კითხვამ მომცა ის სულიერი საზრდო და ისე ძლიერად მომიმზადა შემოქმედებითად ნიადაგი, ისე დამიხვეწა წარმოსახვის უნარიც, რომ შემდგომ ამ ნიადაგში მოხვედრილი მარცვალიც კი ადვილად პოულობს თავის გზა და კვალს. შეიძლება ახსენოთ ნიჭი, გენები და ამაზე არც შეგეწინააღმდეგებით, რადგან წერის უნარი მხოლოდ წიგნების კითხვიდან როდი მოდის, ან წარმოსახვითი ფანტაზიიდან, მაგრამ წიგნი ხვეწს და აწრთობს ადამიანის შემოქმედებით უნარს. კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წევს ადამიანს და უფრო მეტად უკეთესს ხდის, ვიდრე იმ წიგნის წაკითხვამდე იყო. სწორედ ესაა წიგნისა და მწერლის მთავარი მოვალეობაც ადამიანის ცხოვრებაში. მქონდა „უძრავი, პერიოდებიც“ როცა საერთოდ აღარ ვწერდი და ეს გრძელდებოდა წლები. ამჟამად ჩემს ცხოვრებაში“ შემოდგომის ხანაა“. როგორც დაწურული მაჭარი დუღს ქვევრში და თავის დროზე თუ არ „გადაიღებ იფეთქებს“, ისე მეც ვფიქრობ „დუღილის პროცესიდან გადაღება, მიწოდების ეტაპს გავდივარ. “ სარქველი მოხდილი მაქვს ჩემი ქვევრისა, რომლის ღვინის დამგემოვნებელი და შემფასებელი ჩემი მკითხველია.

***— ყვარელი თქვენთვის არის…***

— ყვარელი ყველაფერია ჩემთვის. ის არის ჩემი ნავსაყუდელი, ჩემი ბავშვობა და თავისუფლება. ყვარელი არის ადგილი, სადაც“ ემღერება გულს“ და სადაც ყველაზე მშვიდი და ბედნიერი ვარ. მეამაყება დიდი ილიასა და კოტეს ნაფეხურებზე სიარული. და როგორც ბებიაჩემი იტყოდა:—განა შეიძლება ყვარლის ჰაერი ჩაისუნთქო, ილიას მთების ცქერით დატკბე, ჩაგურგულას წყალი შესვა და მისი მლოცველი და მასზე შეყვარებული არ გახდეო. არ ვიცი, როგორი, რა ადამიანი ვიქნებოდი ყვარელში რომ არ დავბადებულიყავი, გავზრდილიყავი! ყოველდღე“ ქაჯეთის მოედნის“ გავლით რომ არ მევლო ყვარლის მეორე საშუალო სკოლაში. ყოველკვირა“ შატალოებზე“ არ მეწანწალა ილიასა და კოტეს მუზეუმებში და ყოველ გაზაფხულზე, „ილიას გორიდან“ არ ჩამომეტანა სურნელოვანი ყოჩივარდების, ენძელებისა და ფურუსელების ულამაზესი თაიგულები. ყვარლის ყოველი ქუჩა, ნაგებობა, ხე, თუ ქვა, მთა, თუ მდელო, ტყე, თუ მდინარე, ვენახები, თუ ზვრები, ჩემს ბავშვობას ინახავენ. აქამდეც, ჯერ კიდევ, ყვარელში გატარებულ ჩემს ცხოვრებაზე ვწერ და არ ილევა მოსაგონარი. ალბათ, არც არასოდეს გამომელევა და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული და მადლიერი ვიქნები. „თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული თქვენთან, ჰე მთებო, ბუნებითა შეუღლებული.,

***— როგორც ემიგრანტი, რას გვეტყოდით?***

— ურთულესი და უმძიმესია იყო ემიგრანტი. მითუმეტეს ისეთ ასაკში მე რომ მომიწია (23წლის ვიყავი)ურთულესია სხვისი ქვეყნის დროშის ფრიალს შესცქეროდე და შენი სამშობლო ენით აუწერელ ტკივილამდე გენატრებოდეს. მე ახლაც ვერ ვხვდები რა ძალამ გადამატანინა და გადამალახინა ის რთული დღეები, სადაც სიხარულის ვარსკვლავები არსად კიაფობდნენ. ერთი პატარა გოგო ვიყავი ათენში რომელიც“ შემთხვევით“ გახდა ემიგრანტი, რომელსაც არავინ ყოლია იქ გზის გამკვლევი, რომელსაც პირველ



წლებში არ ქონია მობილური ტელეფონი, რომელიც ვერ საუბრობდა ვერც ბერძნულად, რომელსაც პირველი სამი წელი ემიგრანტობის ისე გაუჭირდა, ველარ იგებდა სიზმარში იყო, თუ მართლა ცხადად ხდებოდა მის თავს ეს ყველაფერი. ბოლოს, მაინც გაიმარჯვა და ცხოვრებას ისე არ გაეთელინა“ როგორც დიდოელ ლეკს ნაბადი“, განსხვავებით ბევრი სხვა ემიგრანტისაგან, რომელთაგან ზოგი ფსიქიურად იშლებოდა, ზოგი მძიმედ ავადდებოდა. თითქმის ოცი წელია ემიგრანტი ვარ და ვერ გამიგია როდის გავიდა ამხელა დრო. მე თავი ისევ ოცდასამი წლის გოგო მგონია, არადა ორი ათწლეულია გასული. მძიმე, რომანტიკულ—დრამას გავს ჩემი ცხოვრება, რომლის სცენარის ავტორი, რეჟისორიცა და შემსრულებელიც თვითონ ვარ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი ჩემს ემიგრანტობას საბერძნეთში და თან ამხელა დროით. ალბათ, დაგაინტერესათ რას ვაკეთებდი მთელი ამ ხნის მანძილზე ათენში. ვმუშაობდი სხვა ემიგრანტების მსგავსად და ყოველწელს ველოდებოდი საბუთების გამოსვლას, რამაც ჩემს შემთხვევაში ლამის თხუტმეტი წელი დააგვიანა. დიდი სურვილი მქონდა ათენის რომელიმე სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების, მაგრამ უსაბუთობამ ხელი შემიშალა. ემიგრანტობა არის ცხოვრების უდიდესი გამოცდა, სადაც ძლიერნი და მართალნი იმარჯვებენ! ემიგრანტობა არის ადამიანის ბეწვის ხიდზე სიარული სიკეთესა და სიბოროტეს, სიყვარულსა და სიძულვილს შორის! ემიგრანტობა არის საკუთარ სულში ჩაძვრენისა და საკუთარი პიროვნების შეცნობის დრო! ემიგრანტობა არის სამშობლოს, ოჯახის მიმართებაში გათენებული ღამეები და ცრემლისაგან დასველებული ბალიშები!. ემიგრანტობა ის ლატარიის ბილეთია, რომლის მოგებითაც, ან დაიღუპები და ან შენ გზას იპოვი საბოლოოდ ცხოვრებაში! ემიგრანტობა წარმოუდგენლად მძიმე, თვითნებით საკუთარ თავზე უარის თქმაა. როგორც ემიგრანტი, ალბათ უფრო განსხვავებულად ვუყურებ ცხოვრებას. უფრო მეტად მტკივა, მიყვარს და მენატრება საქართველო, ჩემი მშობლიური ყვარელიც. ძალიან ბევრი გამოვიარე ამ ხნის განმავლობაში, ავიც და კარგიც, ბევრი „ოქროს სასახლეც“ ვნახე და სიყვარულის იალქნიანი გემებიც, მაგრამ არაფერს არ მოვუჯადოვებივარ. ყველაფერი წარმავალია. არაფერია ამ ქვეყანაზე მუდმივი სიკვდილისა და დაბადების გარდა. ვერაფერს წავიღებთ ამ ცხოვრებიდან. კარგ, პატიოსან სახელს თუ დავტოვებთ ამ წუთისოფელში, ჩავთვალოთ რომ სწორედ გვიცხოვრია. ახლა, ვხვდები რომ არაფერია იმ ბედნიერებაზე დიდი, ვიდრე შენს მშობლიურ სახლში ყოფნა. როგორც ემიგრანტი გეტყოდით, რომ ყოველი ადამიანი იმ ქვეყანას ეკუთვნის, იქაა მისი დიდება და ბედნიერება მხოლოდ, სადაც მისი ფესვებია.

***— როგორც მანია მათიკაშვილის შვილიშვილს, ალბათ ბევრი მოგონებები გაქვთ მასთან დაკავშირებით?***

— ბებიაჩემზე უსასრულოდ შემიძლია საუბარი. ზაფხულში, როცა ყვარელში ვიმყოფებოდი დედა გადააწყდა მის ხელნაწერებს ყვარლის მაშინდელი თეატრის ცხოვრებასთან დაკავშირებით, რაც მე მანია მათიკაშვილის სახელით ოთხნაწილად გამოვაქვეყნე ჩემს Facebook გვერდზე. აღნიშნულმა ნაწერებმა დიდი სიყვარული, მოწონება და ინტერესი დაიმსახურა მკითხველის მხრიდან. მწერდნენ ჩემთვის უცნობი ადამიანები და მადლობას მიხდიდნენ ასეთი საინტერესო, დოკუმენტური მასალების გამოქვეყნებისათვის. ძალიან პოზიტიური და ომახიანი ქალი იყო მანია ბაბო. მისგან არ მახსოვს წუწუნი, უიმედობა. მტკიცე ხასიათი ქონდა და საკმარისად ავკარგიანიც იყო, ისე რომ ზოგჯერ „ოთარაანთ ქვრივს“ მაგონებდა. ჩემი მშობლების მსგავსად იყო ჩართული ჩვენს აღზრდასა და სწავლა განათლებაში. ის ცალკე, „თავისი ხერხებით“ გვაკონტროლებდა ყველგან, სადაც არ უნდა წავსულიყავით და ვყოფილიყავით. ჩვენთან სხვანაირი მიდგომა და საუბარი ქონდა. ჩემს ყველა კლასელსა და მეგობარს, მეზობლის ბავშვებსა, თუ შემდგომ უკვე ჩემს კურსელებს, ძალიან უყვარდათ. მოფერებით“ მანანოს ვეძახოდით. ისე მიყვარდა, როგორც დედაჩემი. თვითონაც უზომოდ ვუყვარდით. ერთხელ წერილში მწერდა:“ ჩემი სიცოცხლის კაბადონ ხარო“ . ხშირად ამბობდა:—არ მეგონა, შვილებზე მეტად შვილიშვილები თუ მეყვარებოდაო. სულ იცოდა რა მისწრაფებები გვქონდა, რაზე ვოცნებობდით, რა მოგვწონდა, რას ვაპირებდით და თუ მისთვის მისაღები იყო ეს ყველაფერი ხელსაც კი გვიწყობდა მათ განხორციელებაში. მთელი თავისი ცხოვრება ყვარლის სახელმწიფო და შემდგომ ყვარლის სახალხო თეატრს შეალია, სადაც ბევრი როლიც ითამაშა, რომელთაგანაც განსაკუთრებით უყვარდა და გამოყოფდა“ ოთარაანთ ქვრივს“ . კარგი მეუღლე, დედა, ბებია და დედამთილი იყო. ჩვენი გულისათვის“ რკინის ქალამნებს“ ჩაიცმევდა და ცხრა მთას გადაივლიდა. გაჭირვების, უშუქობის, წლებში პურის რიგებში ღამეებს ათევდა გულის ავადმყოფი, ჩვენთვის სახლში პური რომ მოეტანა. ჩემი საქართველოდან წასვლა ძალიან განიცადა. წასვლის წინა საღამოს მის წინ ვიჯექი ღუმელის გვერდით. მწვანე, დაბალ ოთხფეხა სკამზე. უკანმიუხედავად ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა ტანი და სახეზე ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. —შენ მე ცოცხალს ველარა მნახავო!. მაშინ, იმ წუთებში გულში გამოვიტირე ბებიაჩემი, თითქოს ვგრძნობდი რომ ცოცხალს მართლა ველარასოდეს ვნახავდი. ძალიან გამიჭირდა საქართველოდან წასულს მის გარეშე. ამდენი ხნის

გაგრძელება მე-8 გვ.-ზე



# ყვარელი ყველაფერია ჩემთვის. ის არის ჩემი ნავსაყუდელი, ჩემი ბავშვობა და თავისუფლება...



დასაწყისი მე-7 გვ.-ზე

მერეც, საქართველოში რომ ჩამვდივარ მგონია კარში გამომეგებება თავისი განუმეორებელი ღიმილით, გულში ჩამიხუტებს და თავისებურად მეტყვის: – მოხვედი, ბაბო გენაცვალოს?!" ისე დაიღუპა და დაკრძალეს მე არ გამაგებინეს, უფრო სწორედ ვერავის ეყო იმდენი გამბედაობა და ძალა ჩემთვის ეს ცუდი ამბავი ეთქვა. და როცა თხუთმეტი წლის შემდეგ პირველად შემოვედი ჩემს სახლში, –მანია ბაბოსა და ნიკუშა პაპას წასვლით გამოწვეული ისეთი აუტანელი სიცარიელე დამხვდა, კარგა ხანი გონს ვერ მოვდიოდი. ბებიაჩემმა დიდი წვლილი შეიტანა ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში. ვუყურებდი და მიკვირდა, როგორ შეეძლო მუდმივად რაღაცის კეთებაში ყოფილიყო. ხან ბაღჩაში შრომობდა, ხან ვენახში დადიოდა, თუმცა წიგნის კითხვა არსად და არასდროს ავიწყდებოდა. ვენახში, მუთაქის ქვეშაც კი წიგნები ედო. რასაც სახლში წასაკითხად მოვიტანდი, ის წიგნი აუცილებლად თვითონაც უნდა წაეკითხა. ზამთრის გრძელ ღამეებში საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა. მე და ჩემ ძმას განსაკუთრებით ყვარლის თეატრის ამბების მოსმენა გვიყვარდა ყველაზე მეტად. მასთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრად ლეილა ნასყიდაშვილი და ეთერ ავაზაშვილი. მახსოვს წიგნების, თეატრის შესახებ საუბრობდნენ. დაჯილდოებული გახლდათ შრომის წითელი დროშის ორდენით, რითაც ძალიან ამაყობდა. გერმანიაში მყოფს სულ მიმეორებდა:–შენი სამშობლო არ გაცვალო სხვა ქვეყნის ფუფუნებაზე. " – შენ სხვა მიწაზე გაზრდილი ხისგან გამოჩორკნილი ხარო. " საბოლოოდ, თამამად შემიძლია ვთქვა, ბედნიერი და ამაყი ვარ მანია მათიკაშვილის შვილიშვილობა რომ მხვდა წილად.

***– საინტერესოა, თქვენი პროფესიით თუ გიმუშავიათ, ან თუ გაქვთ ამის პერსპექტივა?***

– სამწუხაროდ, ჩემი პროფესიით მუშაობა ვერ მოვახერხე. უფრო სწორედ, ვერ მოვასწარი საქართველოში. პერსპექტივები ჩემის აზრით ყოველთვის არი ჩვენს ცხოვრებაში. მთავარია თუ გვინდა, ან როგორ გამოვიყენებთ მათ. ათენში იყო პერსპექტივა ერთ ქართულ გაზეთში მუშაობის, მაგრამ ვერ გამოვიდა გარკვეული მიზეზების გამო. ახლაც ვფიქრობდი ათენის უმაღლეს სატელევიზიო კოლეჯში სწავლას, მაგრამ ესეც გადავიფიქრე მერე მცირე დროის გამო. მინდა აღვნიშნო ასევე, ფოტოგრაფის სამთვიანი კურსი გავიარე სამი წლის წინ ონლაინ. საქართველოში ცნობილ ფოტოგრაფებთან:მარი ნაკანთან და გიორგი მამასახლისთან, რაც წარმატებით დავასრულე.

ძალიან მიყვარს, მშველის, შემოქმედებითად მზრდის ფოტოგრაფია. განსაკუთრებით მიყვარს პორტრეტების, ქუჩის დოკუმენტალიკის გადაღება. ჩემი ფოტოების უმეტესი ნაწილი დევს ჩემს ინსტაგრამ გვერდზე.

***– რა გეგმები გაქვს ახლო მომავალში?***

– წერა, წერა და წერა. რაც, გეცოდინებათ რამხელა დროსა და ენერგიას მოითხოვს!.

***– ალბათ, დადგება დრო და სამშობლოში დაბრუნდებით.***

– რაც შეეხება საქართველოში დაბრუნებას და ცხოვრებას, ეს ჩემი ოცნებაა. მე აუცილებლად დავბრუნდები ჩემს სამშობლოში!

ულრმეს მადლობას მოგიხდით ამხელა სიყვარულისა და პატივისცემისათვის. დაფასებისა და კეთილი სიტყვებისათვის!

***– წიგნის გამოცემაზე თუ ფიქრობთ?***

– კი, ვფიქრობ. ჯერ ბებიაჩემის ნაწერების, მერე ჩემი ნოველების და მერე. საიდუმლოდ დავიტოვებ ჯერჯერობით.

***– დაოჯახებული თუ ხართ?***

– ათენში დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით შეყვარებულები მე და ალექსი. გარკვეული დროის შემდეგ შევუღლდით. წლისთავზე საქართველოში ვაპირებდით ხელისმოწერას და ქორწილს. სწორედ თანაცხოვრების წლისთავზე გამომაცალა სამყარომ ალექსი და მარტო დამტოვა მოულოდნელად თავსდატეხილ წყვდიადში. ძალიან გამიჭირდა სრულიად მარტოს ამხელა ტკივილის „თრევა", მაგრამ ამასაც მოვერიე, ეს ტრაგედიაც „დავლეჭე" და „გადავყლაპე". საბოლოოდ მე ჯანმრთელი და ცოცხალი გადავრჩი. სულ ვფიქრობ რატომ მოხდა ასე. პასუხები, ხან ნათელია ჩემთვის ხან ბუნდოვანი. შევეჩვიე საკუთარ თავთან ყოფნას, მომწონს მასთან განმარტოება და ურთიერთობა. მომავალში თუ ორი გავხდებით ეს მხოლოდ უფალმა უწყის!

***– დასანანია. გამძლეობას გისურვებთ!***

***გისურვებთ ასევე, წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში და რაც მთავარია სამშობლოში დაბრუნებას.***

– ულრმეს მადლობას მოგიხდით ამხელა სიყვარულისა და პატივისცემისათვის. დაფასებისა და კეთილი სიტყვებისათვის!

ესაუბრა
**ია გიგიაშვილი**



# შეხვედრა ახალგაზრდებთან, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები...

ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულმა ლიტერატურულმა სალონმა – (ხელმძღვანელი – ზეინაბ ჭიჭიკოშვილი) პირველ სექტემბერს, ყვარლის მთავარ ბიბლიოთეკაში, შეხვედრა მოუწყო ყვარლელ ახალგაზრდებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები და სტუდენტები გახდნენ. აღსანიშნავია რომ, ლიტერატურული სალონის წევრებიდან წელს ხუთი მათგანი გახდა სტუდენტი: ნიკა ჯაფოშვილი, თათია ჩხეიძე, მარიამ ალექსიშვილი, გიორგი ღვთისიაშვილი და ნიკა აბრამიშვილი. თითოეულმა მათგანმა ისაუბრა საკუთარ პროფესიულ არჩევანზე და სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრას, ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ქოქიაშვილი, ლიტერატურული სალონის საპატიო წევრები; გოჩა შავგულიძე, თამარ ნაზრიშვილი, ნინი ჭავჭავაძე, ნინო მიქელაძე. პედაგოგები, მშობლები, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, მათი გულშემატკივრები, რომელთაც მიულოცეს ამ ახალგაზრდებს სტუდენტობა და წარმატებები უსურვეს.

ღონისძიება გაგრძელდა, უახლოეს პერიოდში ყვარლელი ავტორების მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაციით.

„ბოგირი და მოგონებები" (ავტორი: იზოლდი იოსებიანი) – წიგნი შექმნილია კანადაში მცხოვრები, წარმატებული ყვარლელი ექიმის ზურა ივანიშვილისა და მისი ძმის, გიორგი ივანიშვილის იდეითა და მხარდაჭერით.

„შენთვის ვიცოცხლებ" (ავტორი: ეკატერინე ავაზაშვილი), რომელიც ერთგვარი მატიანეა ყვარლის შემოქმედებითი ცხოვრების.

„ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში" (ავტორი: ყვარლის I საჯარო სკოლის მენტორი პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მაია ბურდიაშვილი), სადაც საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენელია საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის რეალური ისტორია.

„მე არსად სხვაგან არ ვარ" (ავტორი: ლევან სამხარაული). უნდა ავღნიშნოთ, რომ ლიტერატურული სალონის ერთერთ ღონისძიებაზე განხილვისას ამ წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში. სალონის წევრები მოხიბლული დარჩნენ ლევანის შემოქმედებით, სადაც დიდი სულიერება დაინახეს. მათ განსაკუთრებით მოეწონათ ლევან სამხარაულის სიტყვები: „ნათქვამია, ახალგაზრდებს წაქეზება უფრო უყვართ, ვიდრე ჭკუის დარიგება. ამიტომ, მანამ არ იღებს ყურად შენს გაფრთხილებას, სანამ ცხოვრებას თვალებში არ ჩახედავს, სანამ საკუთარ შეცდომებზე მწარედ არ ატირდება". წიგნს თან ერთვის ლევანის არაჩვეულებრივი ლექსები და ნახატები...







**ია გიგიაშვილი**

# წარმოუდგენელი ფუნქციები თქვენს ტელეფონში, რომელთაც აქამდე არ იყენებდით

დარეკოთ, დაამესიჯოთ და ჩართოთ ინტერნეტი, ეს მხოლოდ იმ ფუნქციების ძირითადი ნაწილია, რომელიც შეუძლია თქვენს ჭკვიან ტელეფონს, რომ აღარაფერი ვთქვათ კამერაზე, თუმცა არსებობს ისეთი ფუნქციები, რომელზე წარმოდგენა აქამდე არ გქონიათ. დღევანდელ სტატიაში შემოგთავაზებთ მობილური ტელეფონის 7 წარმოუდგენელ ფუნქციას, რომლებიც ნამდვილად გამოგადგებათ.

1. შექმენით ტელეფონის საშუალებით მოსასმენი აპარატი. ნებისმიერი სახის ტელეფონს აქვს ეს წარმოუდგენელი ფუნქცია და შეგიძლიათ ის გადააქციოთ თუნდაც რადიო-ძიძად. ამ პრინციპის მექანიზმი ძალზედ მარტივია: ტოვებთ ტელეფონს ნებისმიერ საჭირო ადგილას, შემდეგ რეკავთ მასზე და ირთვება ზარის ავტომატური მოპასუხე, შედეგად კი ისმენთ გარშემო მომხდარ ამბებს. აღიარეთ, რომ ჯაშუშად ნამდვილად გამოიყენებთ თქვენს ტელეფონს.

2. შეგიძლიათ სამუდამოდ დაბლოკოთ ტელეფონი. ვინ იცის, იქნებ ეს ფუნქციაც გამოგადგეთ როდისმე? აი, მაგალითად თუ დაკარგეთ, ან მოგპარეს ტელეფონი, იმის გამო, რომ მპოვნელმა ან ქურდმა არ ისარგებლოს, შეგიძლიათ ის დაბლოკოთ. ყველა ტელეფონს გააჩნია სერიული კოდი, რომელიც 15 ციფრისგან შედგება. თქვენ გევალებათ თქვენი ქსელის ოპერატორთან დარეკვა და თქვენი ტელეფონის კოდის დასახელება, ის კი ავტომატურად მას სამუდამოდ დაბლოკავს, ქურდიც ბუნებრივია ველარ ისარგებლებს. თუ კი მსგავსი ფუნქციის გამოყენება გახდება მასიური, ქვეყანაში ტელეფონის ქურდები იკლებენ. თუ ჯერ არ იცით თქვენი მობილურის სერული კოდი, მაშინ ამ კომბინაციაზე დარეკეთ და გაიგებთ – *№06№.

3. შექმენით მიკროსკოპი. წარმოუდგენელია, თუმცა ტელეფონის მეშვეობით მართლაც შეგიძლიათ შექმნათ მიკროსკოპი და რაც მთავარია არ მოგიწევთ ამ პატარა დეტალზე ფულის ხარჯვა.

4. გადაიღებთ სურათებს წყალქვეშ. ჩვენს მაღალტექნოლოგიურ პირობებში ყველა ტელეფონს არ აქვს წყალგაუმტარობის ფუნქცია. თუმცა ამის ცოდნის შემდეგ შეძლებთ მაღალხარისხიანი ფოტოები გადაიღოთ წყალქვეშ. როგორ? ამისათვის დაგჭირდებათ პოლიეთილენის ჩიხოლი, რომელსაც ორ წუთში შექმნით თქვენივე ხელით.

5. დააყენებთ ფეისკონტროლს. ყველა Android-smartphone-ს აქვს ეს ფუნქცია, თუმცა რატომღაც მას ყურადღებას არავინ არ აქცევს, არადა ტყუილად, იმისათვის, რომ ეს ფუნქცია ჩართოთ თქვენს ტელეფონში, გაააქტიურეთ «უსაფრთხოების» და «დაბლოკვის-დაცვის» ფუნქცია ტელეფონის პარამეტრებიდან.

6. ჰოლოგრამების შექმნა. შექმენით თქვენი ხელით სამგანზომილებიანი ჰოლოგრამა მობილურის ეკრანზე.

7. გაუხანგრძლივეთ სიცოცხლე თქვენს ტელეფონს. დროთა განმავლობაში თქვენი ტელეფონი ბინძურდება და ეს სრულიად ნორმალურია, თუმცა სიბინძურე აზიანებს თქვენს აპარატს. იმისათვის, რომ დაზიანება თავიდან აიცილოდ, ამ მარტივი მეთოდით გასწავლით როგორ გაწმინდოთ ის. აიღეთ სამედიცინო შპრიცი, გაავსეთ ჰაერით, შემდეგ ნემსის წვერი შეყავით მის ჭრილში და შეუშვით ჰაერი. ჰაერის ნაკადი შიგნით არ გაჩერდება და მტვერთან ერთად გამოძევდება.

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი". გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86